



წელიწადი

საბოლოიდიკო და სალიცერაფურო ყოველკვირეული გაზეთი

მეთებთმეტა

№ 33

კვირა, 14 დეკემბერი 1903 წ.

№ 33

გაზეთის ფასი: ერთის წლით ტულისში 7 მან., ნახევარი წლით—3 მან., და 50 კაპ.; ტულისს გარეთ ერთის წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით—4 მან., სამი თვით—2 მან., თითო ნომერი 15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტულისში—„წერა-კითხვის გამაფრცლებელ საზოგადოების“ ქანცელარიაში და თვით „კვლის“ რედაქციაში: რუსის ბაზარში, საცკლესით სახლში, იქვე, სადაც ექ. ხელისის სტამბაა.

რედაქციის ქანცელი ღია ყოველ დღე, ღილი 10 საათიდან 2-მდე და სიღმოს 5 საათიდან 8-მდე. სირედაქციის საქმეებზე პირადი მოლობარაკება შეიძლება ყოველ დღე, გარდა ორშაბათის და სამშაბათის, შუადღის 12-დან 2 საათამდე.

ფასი განცადების უკანასნელ გვერდზე სტრიქონი თრი შური. ფოსტის ადრესი: თიფლის, რედაქცია განცადების „კვალი“.

**შიდა არა:** კვირიდან კვირამდე.—პცირე უნიშვნა, ყვირილელისა.—სხვადასხვა ამბები.—კორესონდენციები.—რუსეთი.—უცხოეთის ქრონიკა.—სიცრუე (ძველი კაცის ნამბობი), სპირილონ მცირიშვილისა.—კერძო საკუთრება და მისი ისტორია. არ. რაჭენიძისა.—ნაწყვეტიბი პოლიტიკური ეკონომიკიდან, ა. წულუკიძისა.—კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა 1789 წელს, თარგ. ელიავასი.—განცადებანი.

## მიმღება ხელის მოწერა

საბოლოიდიკო, სამეცნიერო და სალიცერაფურო გაზეთი

წელიწადი

„კვალი“

მეთებთმეტა

გამოცა 1904 წელსაც

ერგება კვირა დღეს ერთიდან სამ თაბახამდე.

გაზეთის ფასი

**ტულისში:** ერთი წლით ღილის 7 მან., ნახევარი წლით—3 მან. ღილის 8 მან., ნახევარი წლით—50 კაპ., სამი თვით—2 მ. თით—4 მან., სამი თვით—2 მან., თოთო ნომერი—15 კაპ.

თოთო ნომერი—15 კაპ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილნაწილათაც შემოიტანონ.

ხელის მთელი მიმღება:

ტულისში—«წერა-კითხვის საზოგადოების» ქანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარავალი); რეინის გზის სადგურზე პირველ კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით «კვალის» რედაქციაში (რუსის ბაზარი, საეკლესიო სახლებში).

ტულისში გაზეთ:

ტუთაისში—მიტროფანე ლალიძესთან, ვ. ბერინე შვილის წიგნის მაღაზის და ტუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათონში—სპირილონ ქველიძის წიგნის მაღაზიში; თურქეთში და დაქალსენაში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და კარპე მოდებაძესთან; ყვირილაში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში; ძევსენაში—არსენ წითლიძესთან; თბილეთში—დომენტი შავიშვილთან; საბუნების ბაზარი (ბაქო)—პეტრე მაჭავარიანთან.

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს ხელის მომწერლებს თვითონ ადრესები გარკვეულათ დაწერილი გამოგზავნონ.

◆ ადრესის გამოცვლა თბილის გარეთ ღილი 40 კაპ. ◆

ფოსტის ადრესი: თიფლის, რედაქცია „კვალი“.

## კვირიდან კვირაში

(ფელეთონი)

ქალაქის გამგეობა და პრესის წარმომადგენლები. ღრამა-ტული საზოგადოების არა ჩვეულებრივ ღროს ჩვეულებრივი კრება.—რეპერტუარს ვინ დაქმედა.—შეურიგებლის შერიგება.—მესიშიშვილი და დრეიფუსი.—ფ. გოგიაშვილმა უკან წაიღო. —მისი „ხერხები“ და ფილისტერების განძრახვა.—გაბრიელ გოგიაშვილი, როგორც საზოგადო მოღვაწე. —ბრძოლაში ვინ იმარჯვებს და ვასილ წერეთლი. —ქუთათური სტუდენტები და მაჭანებები.—მუჯირის თავის მართლება. —ოზურგეთის არჩევნები. გლეხის ჩივილი. დედის და ცოლის წერილი რედაქციის მიმართ. —გოგია სიკინტილაძე.

ბერინე ბერინე! ისევ ბერინე! ბერინე! დასხი ბერინე! დასხი ბერინე! კვლავ შეუდგა თავის საქმეს, კვლავ განაახლა თავის მოღვაწეობა, კვლავ წყებულობს თავის მოქმედებას.

მეტი სინაოლე! თქვა ვილაც ფილოსოფოსება. მეტი სინელე! იძანიან ჩვენი ქალაქის მამები. კარგია სინაოლე! ვისთვის? საზოგადოებისთვის, ხალხისთვის. კარგია სიბნელე! ვისთვის? თფილისის ქალაქის გამგეობისთვის. საზოგადოებაში დაინახოს უნდა, რას იკეთებენ ჩვენი მამები. „მამებს“ არ უნდათ დაანახონ „ქვეყანას“, რას იკეთებენ და როგორ აკეთებენ ისინი ქვეყნის სასარგებლოთ. პრესა, პრესაო, გაიძახის საზოგადოება, ყველაფერი პრესაში უნდა გამოაშერავდეს. რა საჭიროა ეს ზედმეტი პრესა, უიმისოთაც კარგათ მიღის ჩვენი საქმე, აცხადებს გამგეობა. გამგეობის კრებას, კომისიების სხდომებს უნდა. დაესწრონ პრესის წარმომადგენლებიონ. არაა საჭირო, თუ რამე ცნობები სჭირო, ვინმეს, სტოროვს მიმართოს და იქ მისცემენ ყველგვარ სპრავდებსო. და ისე, თამაშევის წინადადება, რომ პრესის წარმომადგენლებს ნება ქონებოდათ დასწრებოდენ გამგეობის კრებებს, ქალაქის თავის არ შეიწყნარა და უარყო, ჩვენ კანონში ეგ საქმე არ წერია. ბათონში, ბაქოში გამგეობის კრებებს პრესის წარმომადგენლები ესწრებიან და ყველაფერი სინაოლეზე გამოაქვთ, მოელი გამგეობის, ან მისი რომელიმე წევრის მოღვაწეობა საზოგადოებას ნათლათ უდგას თვალ წინ, მითქმა-მოთქმას იდგილი

არა ძეგს. გაზეთის საშუალებით ყოველ-გვარ ხმებს და ეჭვებს სხივი ეფინება. აქ ნათლადაა გამგეობის თვითეული წევრის მოქმედება და მისი მისწრაფება. თუ ცუდათ მოქმედობ, თუ ფულებს ტყუილა უბრალოთ ფლანგავ, ვაი შენი ბრალი, სამარ-ცხეინო ბძძებ მიგაკრაის ჰეშმარიტების მოყვარული გაზეთი, რასაც ასე შორს გაურბის თფილისი გამგეობა. აქ არ ხედავ ვინ არის დანაშაული, ვინაა ფულის გამფლანგველი, როგორ მოხდა; რომ ხორცის დუქანმა ამდენი ზარილი ნახა, ვისი დაუდევრობაა, ვისი დაჯინებაა, რომ განაპირა ქუჩები არც განათლეს და არც მოიკირწყლოს, და მრავალი სხვა ამისთანაბები. მერე რისთვის უნდა ქალაქის გამგეობას გაექცეს და გაშორდეს გაზეთის წარმომადგენლებს? მთვარიანი ღამის ვის ეშინია და ქურდსო, ნათქვამია. ჯვარი სწერია გამგეობას, ქურდს შევადიოროთ, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და ასე ითქმის მაინც! სინათლის კი ეშინიათ და რა ვიცი...

მაგრამ სინათლის ხომ სხვებსაც ძალიან ეშინია. ეს და-  
მტკიცა დრამატიულ საზოგადოების სამი დეკემბრის კრება. რა  
იყო? რა მოხდა? არაფერი და ყველაფერი. პირველ ყოვ-  
ლისა, გრძელი კამათი დრამატიულ საზოგადოების და დრამა-  
ტიულ გმიგების უფლებებზე. შემდეგ „შეურიგებელის შერი-  
გებაზე“ მოლაპარაკება, და მასული შეილური იღტროვანება.  
ბოლოს — შერიგება, ტაში, ხვევნა კოცნა — საერთო დღესა-  
წაყლი.

შეთანხმებულიან რეპერტუარზეო—გაიხარებს ჩვენი მკითხველი, და უსაფუძვლოთ გაიხარებს. რეპერტუარი აქ არავის უხსესნებია, ეს ჩვეულებრივი კრება არა ჩვეულებრივმა გარემოებამ ააღვლავა. ისიც თქვას კაცმა, რატომ ამ ამაღლელებები გარემოებათ რეპერტუარის საკითხი არ ჩაითვლებოდა. სეზონის დაწყებიდან დღემდის რეპერტუარზე კამათი არ შეწყვეტილა, და რა უშავდა, დრამატიულ კრებას თვით განხილა ეს კითხვა და ინსტრუქცია მიეცა გამგეობისთვის, ასე და ასე მოაწყვე რეპერტუარის საქმეო. გამგეობამ გაკვრით თქვა, ჩვენა ვცდილობთ რეპერტუარის განხლებას, მარა მე, სწორე გითხრათ, გამგეობის დიდ დაპირებას დრამატიულ საზოგადოების პატარა ინსტრუქცია მერჩია,—დახასებულ პიესების დადგმა აღარ გაბედოთ და ახალ პიესებს გაულეთ კარიო. ამ ინსტრუქციის, რასაკვირველია, თან. მოჰკვებოდა მომავალ წლის საგარაულო ხარჯთ აღრიცხვაში „საავტორო“ და „ბიბლიოთეკის“ ხარჯების გადიდება. და მეონია, რომ ამ ინსტრუქციის მიღებით დაგმუშავილდებოდა საზოგადოება... არა დრამატიული, რასაკვირველია, არამედ მეორე, უფრო ფართო.

გაშ რა იყო, რა მოხდა? რათ მოიწვია გამგეობამ ეს  
უცნაური კრება, რამ ააღელვა ასე მწარეთ კრების წევრები? გამგეობამ მესხიშვილი გააგდო დასიღდან. არაფერი. მესხიშვილის გაგდება ოფიციალურ მოსიარულე საზოგადოებამ ვერ მოითმინა და სკანდალი მოახდინა. გამგეობა საგონებელში ჩავარდა. რა ქნას? დარჩეს — სკანდალები უფრო გახშირდება, არა და რა ქნას? ამჯობინა ისევ გადადგომა, მოიწვია საზოგადოება არა ჩვეულებრივ დროს, კრება ჩვეულებრივ წლიურ კრებათ გამოაცხადა, და უნდა გადავდგე, მე შემდეგში ჩემ სკამზე აღარ მომეცდევინებაო, გამოაცხად,. მესხივთან შეტაკებაზე კი კრინტს არა სძრავდა, და არც სავლიდა საჭიროთ კრებასთან ამ შეტაკებაზე ლაპარაკს. გამგეობას უფლება ჰქონდა გაეგდო მესხიშვილი. მან ისარგებლა კიდევაც ამ უფლებით. მარა კრება-საც უფლება აქვს თავის არჩეულ გამგეობას პასუხი მოხხოვს, ეს რათ ჰქენიო. „საზოგადოება“ აწესრიგებს თეატრის საქმეებს, გამგეობას ნამდვილით მხოლოდ სისრულეში მოჰყვის საზოგადოებების დადგენილები. და დრამატიული სა

ზოგადოება რის მომწესრიგებელი ორგანო იქნებოდა, თუ  
თავის აღმასრულებელ ორგანოს ვერ მოსთხოვს პასუხს, რო-  
ცა საჭიროთ დაინახავს, ამა თუ იმ მოქმედებული წეს უკირი-  
უბრალო სიმარტლე არის, რომ ეს ბოლო ციტული ტექ-  
ნის ორატორებმაც კი გამოარკვიეს. კრება მიხვდა თავის უფ-  
ლებეს და უთხრა გამგეობას, ხელს ნუ აფარებ ამ ინცინდენტ-  
სი. ეს მოითხოვა დასჯილმა არტისტმა მესხიშვილმაც — მე  
არა ვარ დანაშაული, და კიდევაც დავამტკიცებ ამას, თუ მა-  
ლაპარაკებთ ინცინდენტზე. მაგრამ ნამდვილი „ხიფათი“ სწო-  
რეთ აქვდან დაიწყო. გამგეობას ინცინდენტზე ლაპარაკი მა-  
ინც არ სურდა, ნუ გავარჩევთ საქმეს საჯაროოთ. თუ არ  
დაგიშლიათ, კომისია ამოირჩიეთ და მას მიანდვეთ ეს საქმეო.  
კომისიაზე მესხიშვილიც თანახმა იყო. მარა კრება კომისიის  
არჩევის ნაცვლათ „შესარიგებელ ფორმულების“ შემუშავებას  
შეუდგა.

რათა? რისთვის? გაიგო რამე საქმის, რომლის მორიგე-  
ბით გათავებას აპირებდა? სრულებით არა. შეიძლება გამგეო-  
ბის წევრებმა პირადი ანგარიშებით გადააყენეს მესხიშვილი? შეიძლება მესხიშვილმა თავის ქცევით შეაფერხა თვატრის სა-  
ქმე და აიძულა გამგეობა ასე მოქცეულიყო? არაფერი ეს არ  
გამორკვეულა, ხოლო გამოირკვა მამულიშვილური აღტრთო-  
ვანება, რაიც კრების წევრებს მეტათ შვენოდა, საქმეს კი  
სრულებით წინ არ სწევდა. „მამულს გაფიცებო, — აი ფორმუ-  
ლა, და მიიღეთო“ — ამბობდენ ორატროები, და კრებაც თა-  
ნახმა იყო ყოველ გვარ ფორმულაზე, ოღონდ შეერიგებია  
არტისტი და გამგეობა. გათავდა იმით, რომ კრებამ გამგეო-  
ბას ნდობა გამოუტხადა, ამ უკანისკენებმა კი თავის დადგე-  
ნილება მესხიშვილის შესახებ იქვე გააუქმა და სთხოვა, დასჭი  
მობრუნდიო. ამგვარათ მოხდა შერიგება, რამაც საერთო სი-  
ხარული, ტაშის ცემა და ხევვნა-კოუნა გამოიწვია.

რას ნიშნავს ყველაფერი ეს? ორში ერთი, დანაშაული  
ან მესხიშვილია, ან გამგეობა. საზოგადოება ნდობას უცხა-  
დებს გამგეობას. სხინს, გამგეობას არავითარი დანაშაული არ  
მიუძღვის. და თუ გამგეობას არავითარი დანაშაული არ მიუ-  
ძღვის, აშკარაა მესხიშვილია დამნაშავე და მისი გაგდება და-  
სიდან კანონიერი ყოფილა. და თუ გამგეობის წინაშე მესხი-  
შვილი შემცდარია, შემცდარი ყოფილა ის აგრეთვე დრამა-  
ტიულ საზოგადოების წინაშეც, რადგან პირველი ამ უკანას-  
კნელის გაგრძელებაა. და თუ ეს ასეა, მესხიშვილისთვის უპა-  
ტიებიათ დანაშაული, როგორც გამგეობას, ისე საზოგადოე-  
ბას. მესხიშვილმა მიიღო ამნისტია, ხოლო თავმოყვარე დრე-  
ფუსმა პატიებაზე უარი განაცხადა: თუ მტკუანი ვარ, დამსა-  
ჯეთ, თუ მართალი ვარ გამამართლეთ, რას მიქვია პატიებამ.  
ასე უნდა მოქცეულიყო მესხიშვილიც, თუ მართალი იყო დ  
მოქალაქებრივი გამცილება შესწევდა...

მოქალაქებრივი გაბედულება ისევ ფ. გოგიჩაიშვილს აქვს  
მას იმდენი გაბედულება აქვს, რომ გუშინდელ ნათქამს დღე  
სულ მტვრათ აქცევს, ამას ის გაბედულათ, აშკარათ ჩადი  
„ცნობის ფურცლის“ ფურცლებზე შაბათობით. რასაც ერთ  
შაბათს დასწერს, იმას მეორე შაბათს შლის, მარა შლის მის  
ჭყუით, ნამდვილათ კი რაღა დროს წაშლაა. მან უწინ ცოლ  
შვილიანი კაკი სახოგადო მოღვაწეთ მონათლა, შვილებ  
გაგიჩნიათ. როცა უკიეინეს: პაი და რას ამბობ მაგის, რა  
ფილისტერობო, მან ახლა უკან წინანდელი ნათქვამ  
და გამოაცხადა: მე ეგ არ მითქვამს. ა დათვი და ა კვალი, —  
ნახეთ, ბატონებო, წინანდელი „ცნობის ფურცელი“ და ახლან  
დელი, წინანდელი შაბათის ფელეტონი და ახლანდელი. მ  
კი არ მცალია მაგისთვის. და არც დრო არის; ჯერ უნდ  
მის მესამე, თავის გასამართლებელ ფელეტონს მოვუცადოთ

„უკანასკნელი“ იქნებათ—ამედებს მეოთხველს. ვნახოთ, რას იტყვის უკანასკნელში,—ახლა კი სხვა მხრივ მინდა შევეხო მის ნაწერებს. მოპირდაპირეს რომ სხვაფრივ ვერა დააკლო, ბ. გოგიაშვილი მისდგა და უსაყველურებს, შენს წერილის თავში დაპირებაა, გოგიაშვილის შექნელ წრეს გამოვარკვევა, წერილის ბოლოში კი გამორკვევის ნაცვლათ „დიდ მნიშვნელოვანი“ წერტილებით. ბ. გოგიაშვილმა, რასაკვირველია, იცის ამ წერტილების მნიშვნელობა, იცის და მაიც სარგებლობს... „ლაიფციგის“ უნივერსტეტმა რომ გოგიაშვილის ამბავი გაიგოს, მაშინვე ეტყვის, არა გრცხვენია მაგვარ ხერხით სარგებლობათ. მეც ვეტყვი ბ. გოგიაშვილს, რომ თუ ასეთ ხერხს თავი არ დაანება, მას უკამათოთ გამარჯვებას დაულოცავენ, ვინაიდან ეს მისი „ხერხები“ ნაკლებათ სასახელოა. თუმც ეს ასეა, მარა დღეს დღეისობით გოგიაშვილს და მის აზრებს გასავალი აქვს. ფილისტერების ერთ ჯგუფს (აი ისეთებს, რომლებმაც შექმნეს გოგიაშვილის სებური აზროვნობა, წვრილ ვაჭრუქა-მესაკუთრებებს, და საზოე გადოთ, წვრილ ბურჯუებს) განუზრახავს დიდი ალბომი მიართვას გოგიაშვილს ძლვნათ და საჩუქრათ. ალბომში იქნება რიგ-რიგათ დახატული: „ქალი და კაცი იკონებიან“, „ქალი და კაცი სიყვარულობენ“, „ქალი და კაცი ერთათ“, „ოჯახი“, საზოგადოება, „სახ. გადო საქმე“ და ვინ იცის კიდევ რა. დეპუტატიციათ დამა-კავალრები იქნებათ. ლანჩხუთელებიც დიდ მზადება-შია თურმე, უნდა თავის ღვიძლი შვილი დააჯილდოვოს ძვირფასი რამებით. საქმეს მეთაურობს გაბრიელ გოგიაშვილი—მოლვაწე საზოგადო: მან წარმოშობა ფილიპე, კაცი ფრიად სტატისტიკას, ეკონომისტ-პოლიტიკოსი და მეტათ კოსი, რომელსაც გამოესარჩლო

\* \*

ვასილ წერეთელი. მაგრამ ვაი ამ გამოსარჩევებას. ვასილს როდი სცოდნია ფილიპეს განძრახვა ზოგიერთ წინანდელ აზრთა უკუგდებისა და მის ფელეტონში სწორეთ ის ამოუკითხავს და იმას ესარჩევა, რისიც გოგიაშვილს დღეს ასე რცხვენია. მეგობარიც ასეთი უნდა. რას იზამს ახლა გოგიაშვილი? დასწერს სამ დიდ ფელეტონს ვასილისთვის „ნამდვილ აზრის“ ასახნელათ? თუ გაჩუმდება? არ ვიცი, რას იზამს, ის კი ვიცი, რომ ვასილმა ვერაფერი სამსახური გაუწია მას. სამაგიეროთ ვასილმა სულ ბდლვირი გააღინა ფილიპეს მოწინააღმდევეთ, როგორ გაბედეთ და შებედეთ სტატისტიკის დოხტურსო. რა სოჭვა მან? მას არაფერი არ უთქვამს, მან ახლათ აღმოაჩინა, რომ ბრძოლაში ის კი არ იმარჯვებს, ვინც უფრო ძლიერია, არამედ ის, ვინც უფრო თავხედი, გამბედავი და თავგამეტებულია. ლიტერატურაში კი ძლიერი დამარცხებული ოჩება. საცოდავი ძლიერები! როგორ განუკითხავათ იჩაგრებიან თავხედ სუსტებისაგან. მაგრამ რა უყოთ, ბატონო ვასილ, რომ თქვენისთანა და გოგიაშვილისთანები დამარცხდენ, ტყუილათ ფიქრობთ, ვითომც ძლიერნი მარცხდებიანო. ძლიერები ყოველთვის იმარჯვებენ და ეს გამარჯვება კაცელაზე თვალსაჩინოთ ლიტერატურაში და საზოგადო ისპარესზე ხდება. ტყუილათ ფიქრობთ, რომ თქვენ ძლიერები იყოთ, თქვენისთანა ძლიერები მართლაც რომ ყოველთვის დამარცხდებიან, ისე რომ საზოგადოება ვერც კი შეამჩნევს თქვენს დამარცხებას.

\* \*

ხოლო გავიმარჯვე და სული მიდგიაო, ქუთათურ სტუდენტებმა უნდა თქვან. ყიდიან და ყიდიან მუნდირს, ქუდს კანტებს და იქნება კიდევ სხვასაც რამეს. ძალიან ფასში კი იყიდება სტუდენტის ხარისხი! სამი-ათასი, ოთხი-ათასი და ერთი ქალიშვილი ქალი კიდევ დავესკათ. ამას ახლა არ დაი-

ჯერებთ, მარა ასე კი და. ერთი განვებ ჩაიცვით სტუდენტის ფორმა და გაიარეთ ბულვარზე, ქუჩაში, მაშინვე ათასაირი მაჭანკლები გვერდში ამოგიდგება და ქალს შეკეტებულ ჰალისთანა და ამისთანა ქალია, ამისთანა და აზრის ტესტის ამისთანა და ამისთანა ცურმარილი იცისო. და თქვენ გაშტერდებით მაჭანკლის ამ გვარი თავხელობით, მარა მაღლ მოლბებით და კიდევ თანხმდებით... რას იზამ... ერთმა ჩვენმა ამხანაგმა ქუთათურ სტუდენტების ამ გვარი საქციელი გარყვნილებათ ჩისთვალია, არა გრცხვენიათ დიპლომებით ვაჭრობოთ? კარგი, გაიარა, წავიდა ეს ამბავი, მარა ამ ბოლოს გამოხტა ერთი სტუდენტი იასონ ნიკიფორეს ძე მუჯირი, მცხოვრები ქუთაისის გუბერნიაში, თხურგეთის მაზრაში და იწყო დაცვა სტუდენტების. რა უყოთ რომ ღარიბ სტუდენტმა ცოლი შეირთოს, ოჯახი გაამაგროს, ცოლქმრული კავშირი განამტკიციოს და უმაღლესი განათლება მიიღოს. აქ სტუდენტი, როცა ყიდის თავის ღირსებას, არავითარ საზოგადოებას არ ჩადისო“. ასე იყო და ასე. ანგარიშით ცოლს ირთავენ, და ამავე ღროს კი ყვირიან ღვახი უნდა გავამაგროთ. კი საშუალება კი თქვენმა მზემ! და ოჯახის გამაგრებაც მანამდე იქნება, სანამ ამას ანგარიში მოითხოვს. როცა აღარ იქნება ხელსაყრელი ღვახის განმტკიცება, მაშინ კი მიანებო უნდა თავი. ესეც თქვენი ცოლ-ქმრული კავშირი! ამბობენ და დასაჯერებელიც არის, ქორწინება, ჯვარის წერა და შეყვარება მას მერე გახშირდა, როცა გოგიაშვილმა საისტორიო წერილი დასტამბა და როცა ვასილ წერეთელმა ურჩია სტუდენტებს სქესობრივ მოთხოვნილების დაკავილებებას ნუ მოიკლებთ—თუ რამე გაგივათ, ეცადეთ, მეცადინებას და საზოგადო მოღვაწეობას ეგ საქმე ხელს არ შეუშლისო.

\* \*

მაგრამ ოზურგეთელებს კი მეტის-მეტათ უშლის თურმე თვით მართველობა ხელს, პროგრესი სულ იმ დაწყველილმა თვით-მართველობამ შეაჩერაო. ამდენი ხარჯებია და ქალაქის სასარგებლოთ კი არაფერი კეთდებათ. ამისთვის განბრახული ძევთ გააუქმნონ უპრავადა და ისევ პოლიციას ჩაბარონ ქალაქის ბედილბალი, სულ ერთია, თვით-მმართველობის შენახვაზე რალას ვიხარჯებითო. მარა ყველა არაა ამ თავის თავის სიკვდილის მოხერე, ზოგს უნდა, თუ ნიკათავდებირებს დაგვიძირებენ, ისევ იყოს უპრავამ, ისევ ნიკას თუ შეუძლია მისი დაწყებული წამხდარი საქმე გამოაბრუნოს. რამდენათ მართალია, არ ვიცი ეს საქმე, ხოლო დაწვრილებით ყველაფრის გაგება შეიძლება ბ. ნიკათავდებირებსთან, ის გეტყვის: უნდათ ოზურგეთელებს ნიკათავდებირებსთავათ თუ არა, მართლა განბრახულია თუ არა თვით მართველობის გაუქმება? მართლა აწუხებს თუ არა ოზურგეთლებს რამე, ამის რა მოგახსნო და

\* \*

სოფლის გლეხს რომ პასპორტის შოვნა აწუხებს, აი კი ცხადათ ჩანს ეგნატე კოლოტეს წერილიდან. აი რას იწერება იგი: ბატონო ლედასტორო! ვიცი და ქე გეტყვი, ნასტავლი კაცი ხარ და ჩემ გაჭირებას უყურადღებოთ არ დატოვებ. გამაგები შენი ჭირიმე, ბაშფორთი მუდამ საჭირო იქნება? თუ კი, მუდამ ასე მნელი იქნება მისი აღება, თუ რაფერ მოწყობა საქმე, მიმახთინე, ვუყურყუტე, ვუყურყუტე კანცელარიის კარებზე ბაშფორთი, მშირდენ დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ, მარა არაფერი ეშველა. ბილეთს უფასო აწერია, მარა ვა ამისანა უფასოს, ჩიტის რძეს უფრო იაფათ ვიშონიდით“. „კვირიდან კვირემდე“ ასეთს კითხვებს უყურადღებოთ ტოვებს. ამა რა ვიცი...

\* \*

ხოლო რა უნდა ვუყოთ კარტის და, ნარდის თამაშს, როგორ შეიძლება მისი გადაგდება, ამის თქმაც ძნელია და

შესრულება ხომ სულ უფრო ძნელი. „ჩემი შვილი კარტს  
თამაშობს“, მოსთქვამს ბარბალე. „ჩემი ქმარი ნარცს თამა-  
შობს“, ტირის პოლინე, „იქცევა ჩვენი ოჯახი უსაქმურობით  
გვიწამლე რამე, რედახტორო, თუ რამე იცი“. აბა რა იცის  
რედაქტორმა, რა წამლობა შეუძლია აბა. ის იტყვის: ცუდია  
კარტის თამაში, დრის გაროომეს. სხვა საქმეს მოკიდე ხელი.  
სხვა რა ქნას? ახლა და თუ გაზრდში გამოცხადდება კარტო-  
უნიკების სახელი და გვარი კარტის თამაში მოისპობაო. თუ  
კი იმით გახდება რამეს, შემდეგში „კვირიდან კვირემდე“ ეც-  
დება გამოაქვეყნოს ყველა კარტოუნიკების სახელი და გვარი  
და შეუკურთხოს მათ.

ახლა კი გოგია სიკინტილაძესაც უნდა დავუგდოთ ყური  
რას ამბობს: ბატონო რედახტორო! თქვენი კი რა ვიცი  
და მე ცოლშვილიან კაცს, ორგვარი გრძნობა ამითამაშა  
გოგიჩაიშვილის წერილმა. საზოგადო მოღვაწეობა დღემდე  
ისეთი ხილი მეგონა, რომ ჩემისანა უბრალო მომაკვდაცეს  
თუ მაზე ხელი მიუწვდებოდა, აი კი არ ვიცოდი. მა-  
გრამ მოგეხსენებათ მეცნიერებას გაუგებარი და მიუწლომელი  
აფერი რჩება. მოგეცათ ლხენა და ლვთის წყალობა, ნენე, ბაძე  
და ჩემი დარჯანე გავახარე, ვწუხვიარ, რომ ბაბუა ჩემი ვერ იღებ-  
და ჩვენ სიხარულში მონაწილეობას სიკვდილის გამო! წავი-  
კითხეთ თუ არა გოგიჩაიშვილის წერილი, ჩვენ ალტაცებას სა-  
ძლვარი არ ქონდა. მოულოდნელი იყო ჩვენთვის ამისთანა  
პატივი და დიდება, მით უფრო, რომ როცა მე ჩემმა ნენამ  
და ბაბამ ქვეყანაზე თავი გამომაყოფინეს, ანდა ჩემმა დარჯა-  
ნამ ჩემ შვილებს მზის სხივები დაანახა, საზოგადო მოღვაწეო-  
ბაზე სრულებით არ ვფიქრობდით. დღეს კი გავიგე ვინც ვყო-  
ფილვარ. ამასთან მართალია გოგიჩაიშვილს არ უთქვამს, მარა  
მაინც კი გამიგონია, რომ საზოგადო მოღვაწის გზა ეკლით  
არის მოცულიო. ჩემი გზა მუდამ ეკლით და ბარღნარითაა  
დაფენილი და თანაც ამ ეკლებში და ბარღში ფეხში შევეღლი  
უნდა ვიტრაცუნო და ვინდარტუნო. ესეც ხომ დიდი საბუ-  
თი, მაშ ვარ რაღა საზოგადო მოღვაწე“ - გოგიჩაიშვილს კით-  
ხე, ხარ თუ არა.

P. S. „კვირიდან კვირამდე“ დიდი სიამოვნებით დაბეჭდავს ყოველგვარ წერილებს და ახალ ამბებს, რასაც კი საზოგადო მნიშვნელობა ექნება. ამისთვის სთხოვს მკითხველებს ნუ დაიზარებენ წერილების გამოგზავნას. მასალებს „კვირიდან კვირამდე“ თავის ნებაზე დაამზადებს.

8 3 n 9 0 8 0 6 n 8 3 6 0

— იყოს უფსკრული, თუ აგრეაო, — ვვეუბნება „ცნობილურცელი“, რაც ამ უფსკრულში ძალათ ჩაახედეს და შემდეგ უფსკრულს გადაღმა უწევენს მისი ადგილი. და რომ ეს, ცოტა არ იყოს, ძალაუნებური უფსკრულს გადაღმა თავის ამო- ყოფა მკითხველს აუხსნას, ამდგარა და იმას ამტკიცებს, აპრილში ეს უფსკრული არ ყოფილაო. როგორ? რა გვარათ?! როგორ და ყვირილელმა ახლა გათხარა ეს უფსკრულიო. „ყვირილელი აპრილში და იგივე ყვირილელი დეკემბერში“ — ასათაური სარედაქტოი „პატარა ფელეტონის“ („ცნ. ფურც.“ № 2348), რომელიც ისეთი რიხით იწყება, რომ კაცს პირველი შეხედვით ეგონება, სირცხვილს კი არა, სიმართლეს გაუცხარებია მისი დამწერი რედაქტორი. სად, რაში ხედავს „ცნობის ფურცელი“ ჩვენ „ნახტომს“? აი სად. აპრილში ჩვენ გამოვთქვით აზრი, რომ აღ. პაველევის შემდეგ ხანში ჩვენს ხალხს ყმის ბორილების გარდა არა რამა ირჩავის-რა. თა რო-

დესაც „ცნობის ფურცელმა“ ისე „გაიგო“ ეს აზრი, თითქმ  
ხალხს ჩვენი შეხედულებით არც წინეთ დაუკარგავს-რა, ჩვენ  
მივუითეთ „ცნობის ფურცელს“ ნამდვილ ცენტრულ ავტორი  
და ბოლდიში მოვახდევინეთ. ეს იყო პრილშტადტის გა

დეკმბერში კი ჩვენ დაწერთ, რომ წარსულში ყველა-  
ფერი, და სხვათა შორის ეროვნული მოძრაობა და იღეოლო-  
გია, ბატონ-ყმობის გამტკიცება და გამოხატულება იყო თქმ.  
ა, აქ არის თურმე ნახტომი.

ჩვენი ex—„თანამოაზრე“ გვკითხავს: თუ კი წარსულში  
ცხოვრების ყველა მხარე, ჟაკიდითა ქრისტოს, ბატონ-ყმობის  
გამომხატველი იყო, მაშ რათ სთქვით, რომ ხალხმა შემდეგ ში  
რაღაც დაკარგდა. ისეთი რამის დაკარგვა, რაც ბატონ-ყმობის  
გამოხატულების წარმოადგენს, „დაკარგვათ“ როგორ ჩი-  
თვლებათ. დღეს ველარ იტყვით მას, რაც აპრილში სთქვითო,  
რადგან დღვევანდელი თქვენი აზრი წარსულზე ერთიანათ ეწი-  
ნაამდევება წინანდელსო.

„ცუნბის ფურცელს“ აქ ჩვეულებრივათ „ერთი რამ“ დავიწვებია. როდესაც ჩვენ აპრილში შევეხეთ წარსულს, მა-შინ ამ წარსულს ჩვენ აწმები ვადარებდით, დღეს კი მომა-გალს ვუპირდაპირებთ იმავე წარსულს. წარსულში და აწყუ-ში კლასის კლასისაგან ჩაგრძის ერის ერისაგან ჩაგრძაც ემა-ტებოდა და ემატება ხშირათ, ისე რომ ხალხი, რომლის შინაგან ულელს გარეგან დესპოტიის ულელი ზედ დაემატა, უარეს ტანჯვაშია ვიღრე ის, რომელიც გარეგან ულელს არა გრძნო-ბს. მართალია, „თავისუფალი“ არც ეს უკნასკნელი ხალხია. თავისუფალი მხოლოდ ერის გაბატონებული ნაწილია, მაგრამ მაინც ეს გაბატონებული ნაწილი არ ამცირებს ერთი ყმის პიროვნებას სხვა ყმებზე უფრო იმიტომ, რომ ამა და ამ ერს ეკუთვნის, არ სდევნის იმიტომ, რომ ის თავის ენაზე ლაპა-რაკობს და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით „თავისუფალი ერი“ წარმოადგენს მხოლოდ კლასობრივ ჩაგრძაზე აშენებულ საზო-გადოებას, „დამოკიდებული ერი“ კი ისეთს, სადაც კლასო-ბრივ ჩაგრძას ეროვნული ზეჯ ემატება. თუ ჩვენ რომელიმ დაჩაგრულ ერის აწყუ შევადარეთ მის წარსულს, როდესაც ის, როგორც „ერი“, თავისუფალი იყო, ჩვენ დავინახავთ, რომ

ხალხის მდგომარეობა წარსულში სჯობდა მის შემდეგ მდგომარეობას. მაგრამ თუ ხალხმა აწმყოში წარსულთან შედარებით რამე დაკარგა, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ეს დანაკარგი მომავალთან შედარებითაც დანაკარგია, რომ ხალხმა აწმყო უნდა უარყოს წარსულის სახელით. არა, მან უნდა უარყოს ეს აწმყოც, რომელიც წარსულზე უარესია, ის წარსულიც, რომელიც ერთიანათ კლისობრივ უთანასწორობაზეა იგებული, და გაიხედოს მომავლისკენ, რაღაც მხოლოდ მომავალის შეფერის კლისთა მოსხით მოსხის ძირი უფაგდებიან უთანასწორობის, კლისთა მოსხით მოსხის ძირი უფაგდებიან და ერთგვისაც უდისაც (ეს უკანასკნელი პირების ნაყოფი არას). ეს არის ჩვენი რწმენა, ეს გამოგვითქვამს არა ერთხელ წინათაც, და გამოგვითქვამს არა თქვენსავით მიკიბულ-მოკიბულათ და ბუნდოვანათ, არამედ ცხადათ და გასაგებათ. რამდენათ ეწინააღმდევება ჩვენი აზრები ერთი მეორეს, ამას ახლა ბრმაც დაინახავს. და იმასაც დაინახავს, რომ ჩვენ აპრილში იმდენათვე შორს ვიყავით „ცნობის ფურცლიდან“ რამდენათაც დეკემბერში ვართ, და „შეთანხმების“ უნაყოფო ცდას ის ვერავის აუხსნის იმით, რომ წინათ იდეიურათ ახლო იყო მისგან ყვირილელი ან სხვა რომელიმე „კვალის“ თანამშრომელი.

P.S. დასასრულ „ცნობის ფურცელს“ „არ შეუძლია არ აღნიშნოს“ ერთი ჩვენი „სიყალბე“. სად თქვა ბატონშა განმაო, რომ მისი ეროვნული იდეა წარსულით შექმნილ ეროვნულ იდეას არ ეწინააღმდეგებია. „გთხოვთ, ამოსწეროთ განის წე-

რილიდან ეს ადგილი... და თუ ამისთანა ადგილი იქ ვერ იძოვოთ, თქვენ საქციელს თქვენვე დაარქვით შესაფერი სახელი".

ვნახოთ, იქნება ეს ადგილი მოინახოს. რას ნიშნავდა ბ. განის შემდეგი სიტყვები ჩვენს შესახებ ("ცნ. ფ. № 2340): „დიდის რიხითა და ზემით უარესოფენ წარსულს, მაგრამ თუ ბოლო დასკვნამდე შიიუჯანე მათი აზრი, მაშინვე ჩივილს იწყებენ, „კვალს“ ტყუილათ სწავებენ ერთგნობას სრულ უარესოფენ“ (კურსავი უკელიან ჩვენია). ჩვენ ისე გავიგეთ, რომ ბ. განი ამით ამბობდა: „კვალელები“ თივთონ ხედავენ, რომ შეუძლებელია უარყოფა იმ ეროვნობის, რომ უარყოფა დაღიკურ დასკვნას წარმოადგენს. „აი,—განაგრძობდა იქვე ბ. განი,—ორკოფა აზრივნობა აյ არის და არა იქ, ხადაც პირდაპირ ამბობენ, რომ ეროვნობა და დემოკრატია ორი დიალი პრინციპია, რომლით ვხელმძღვანელობთ აწყობს ბრძოლაში“... და სხვ. და სხვ.

ამას ამბობდა ბ. განი... ახლა კი „ცნ. ფ.“ გვეუბნება, რომ ბ. განის ეროვნული იდეა წარსულით შექმნილ ეროვნულ იდეას „კი ეწინააღმდეგება“.

გაათავეთ, ბატონებო, ეს მალულობია, იმიტომ, რომ მწერლობა მწერლობა და მალულობია—მალულობია, და არც არავინ გათამაშებსთ მწერლობაში მალულობიას.

### ს ც ე დ ს ს ხ ე ბ ი ბ ე ბ ი

ჩვენ გავიგეთ, რომ ქ-ნ ოლღა ნიკოლოზის ასულს ალექსიევ-მესხიევისას ნებართვა მიუღია საგუბერნიო იდმინისტრისისაგან სოფელ ქვემო ჭალაში (სოფ. ჭართლში) წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გახსნის.

როგორც „კიევს. გაზ.“ გადმოგვცემს, კიევის გუბერნატორს სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ადმინისტრატორის წესით გადაუწყვეტია დაპატიმრება: სამის თვით 2 კაცისთვის, ორის თვით—ექვისისათვის, თვე-ნახევრით ექვისისათვის, სამის კვირით—ხუთისათვის, ხოლო ერთისათვის 50 მანეთით დაჯარიმება. გუბერნატორის მეორე დადგენილებით ერთი ქალი, სახლის პატრიონი დაჯარიმებულია 30 მანეთით, და ყრილობაში მონაწილეობისათვის გადაწყვეტილი აქვს დაპატიმრება სამის თვით ერთ კაცა და ორის თვით—ცხრასა.

„კიევლიანინ“-ში დაბეჭიდილია: „კიევის საპოლიტენიუმი ინსტიტუტში გამოყიდებულია განცხადება, რომელშიაც აგონებენ სტუდენტებს, რომ ყოველი იმათგანი, როდესაც ინსტიტუტში შედიოდა, პირობას სდებდა, არ მივიღებ მონაწილეობას დემონსტრაციებსა და ნებადაურთველ ყრილობებშით, და სოხოვენ, ნუ აუვლით გვერდს ამ პირობას, რათა თქვენ თავსა და თვით ინსტიტუტს თავიდან ააცილოთ არა სასურველი და მძიმე შედეგებით“. როგორც იგივე გაზეთი იუწყება ინსტიტუტი უკვე დაუხურავთ.

კონკოს გუბერნატორს გამოუცია განკარგულება, რომლის ძალითაც პოლიციელთ ევალებათ, თვალ-ყური ადვენონ, რომ სახელისნოებას და ფაბრიკებში, თანახმათ სამრეწველო დებ. მე-431 მუხლისა, სამუშაო დღე არ აღემატებოდეს 10 საათსა და სადიღსა და საუზმესათვის მუშებს უსათუოთ ორის საათით ასევენებდენ; ხოლო მცირე წლოვანთ რვა საათზე მეტს არ ამჟავებდენ.

მინისტრთა კომიტეტს ნება დაურთავს ბათუმის საფუთო გადასახალიდან გადაიდოს 217 ათასი მან. ჭაობების დასაშრობათ და 540 ათასი მან. წყლის მილის გასაყვანათ.

### კორესპონდენციები

**კიორის საზოგადოება (სამეგრელო).** სამეგრელო დღეს შენდება ქვეთკირის ეკკლესია ხის ეკკლესით-მაგისტრული ამ ეკკლესის მრევლმა განჩინება დაადგინა აგურის ეკკლესის აშენებისა, გუმბათით და ძირიფასი სახურავით. მრევლში ითვლება სულ 96 კომლი ყველა წოდებისა. იქვე ეკკლესის ახლოს დგას სამრევლო სკოლა, რომლის საძირკველი გამონგრეულია და კედლებიდან ქარი თავისუფლათ უბრავს, სახურავიც გაფუჭებულია და ჯერ ამისათვისაც ვერ გაიმე ტეს ფული. რა ქნან სწავლის მოსურნე ბავშვებმა? რომელ ერთს გაუძლონ: უებ შიშველათ სიარულს, ცივი სკოლის კედლებს, ნახევრათ დახეულ ტანისამოსს, თუ შინიდან მჟადის სიძვირის გამო მშეირათ გამოსტუმრებას? მარტო გლეხებზეა დარჩენილი „ნედომქა“ და მიწის ბაჟი 29 წეს მანეთი და 17 კაპ. ახლა ამას დაუმატოთ, თავად-აზნაურებზე რაც არის დარჩენილი და ნუ თუ ეს სიღარიბის ნიშანი არ არის? ორიოდე ბობოლა მდიდრები კი მანც სულ იმის ცდაში არიან, რომამ ხალხს კისერზე ახალი ახალი ხარჯი მოახვიონ. ამას კიწის ფოსტის ისტორია გვიჩვენებს. ერთხელ საზოგადოებას გამოუცხადეს წერილის, ფულის და ამანათის მისალები საფოსტო სადგური გაგეხსნებათ და თანახმა ხართ თუ არა. სოფელში ზოგმა თანხმობა გამოცხადა, ზოგმა უარი და გადაჭრილი პასუხი არავის უთქვამს. ზოგიერთმა კი წაილაპარაკა, თუ ჩვენ ზარალს არ მოგვიტანს, რას დავეძებთ, დაარსონო; 1 ნოემბერს 1903 წელს კიდევ გახსნებს სადგური და ნაწილის ბოქაულმა გამოუცხადა ხალხს, ფოსტის დამტარებელი ცხენები და კაცები თქვენი ხარჯით. უნდა დაიქირავოთთ, რომ ატარის წერილები და ფულით. ყრილობამ უარი განაცხადა, ფოსტა კი არა, ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცება და ახალ წლამდის სიმინდი არ მეყოფათ. ამასთანავე თავად-აზნაურობა არ კისრულობს ფოსტის ხარჯს და მათ მაგიერ ჩვენ რათ უნდა გავწიოთ ხარჯით, რომ ეს დაწესებულება სასარგებლოა, ცხადია, მარა ღარიბი საზოგადოება რომ ვერ შეიძლებს მისი ხარჯის გაწევას, ესეც ცხადია, შველა კი არსათ არის. სოფელი ისე გაჭირვებულია, რომ თითქმის მთელი ახალგაზღიული გარეთ სამუშაოთ მიდის. შინ რჩებიან მხოლოდ ისეთები, ვისაც წასვლა აღარ შეძლიათ. მთელ კიწის საზოგადოებაში ნახევარს არ გააჩნია მუშა ხარი, ურემი, ცხენი და სხვა ასეთი აუცილებელი საჭირო საგნები და საქმენელი.

ვასილი გადილია.

**ლანჩხუთი.** ლანჩხუთის და მის ახლომახლო სოფლების გლეხობა და მიწით მომქმედნი ძლიერ დააფიქრა წრევნდელმა მოუსავლობამ. ცხოვრების პირობები ძირიან ფესვიანათ შეიცვალა, მოხხოვნილებანი დღითი დღე მატულობს, გადასახადი გადიდღა, შემოსავალმა ძალიან იყლო და ვინ იცის, როგორ დასრულდეთ ეს კრიზისი. გურული გლეხი ამნაირათ საგნებელშია ჩივარდნილი.

ლანჩხუთის ინტელიგენცია კი უმოქმედობას და სალათას ძილს მისცემია და აქაურ საკვირაო სკოლისთვის სრულიად არ ზრუნავს. მისი საზრუნავი და საფიქრალი კარტი და ნარდია, ტახახტირებში ლხინსა და ქიოს უნდება, თუმცა მის გარშემო ხალხი გამოფხიზებულია და რაღაც ფაცაფუცობს, მიისწავების გაუმჯობესებისკენ. ორიოდე სიტყვის ვიტყობი აგრეთვე იქაურ მასწავლებელ ქალების შესახებსაც, მაგრამ ჯერ ვუყურებ კიდევ, დაკმაყოფილდებიან მარტო სკოლის კედლებით, თუ ხალხის სასარგებლო საჭეს მოკიდებენ ხელს.

დონეტლავე

ၬၢၮၦၠၦ

အဖောက်၏ --မြန်မာပြည်ရှာ မိုစာ မြန်မာလွှဲလွှဲနှင့် ဘဏ္ဍာမျိုးပါ။ --  
နှစ်မြောက်ထို့ ပါ။ မတေသနရပါသော ဂာန်ရာသံသာ အော် ပါ။ နှစ်မြောက်ထို့  
ဖွံ့ဖြိုးပါ အပိုပြုပါ။ --မိုဖြာလွှဲပြုလွှဲသူ အပိုပြုခိုင်ပါ။ --ဂုဏ်သာဏ္ဏ  
သံသံပါ။ အပိုပြုပါ။ အပိုပြုပါ။ အပိုပြုပါ။ အပိုပြုပါ။ အပိုပြုပါ။

აფთიაქის წარმოება, აფთიაქის საქმე მონოპოლია რუსეთში. მონოპოლია ეს ერთგვარი უფლებაა და, უნდა გთხოთ სიმარტლე, ძალიან დიდი უფლებაც, რომლითაც სარგებლობენ აფთიაქის პატრონები. მათ ჩაიგდეს ხელში წამლის დამზადების საქმე; მათ ხელშია აგრეთვე ხალხის ჯანმრთელებაც და მისი ბედ-ილბალი. ექიმი დაწერს რეცეპტს, რეცეპტი აფთიაქების უნდა მიიტანო და წამალი დაამზადებიო. აფთიაქის პატრონიც ამზადებს წამილს, გაკრაის კალამს და რამდენიც ჰმებასიათება, იმდენს გახდევინებს. ფასის დაცება სრულ მის ნებაზეა. (არსებობს რაღაც ნისარის მსგავსი, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს). აქ არ არსებობს არავითარი ნიხრი, არავითარი კანონი, რომელმაც უნდა შეზღუდოს და შეიაցოს აფთიაქის მოსავები. მას რას ეშინა? ნუ გვშინია მის აფთიაქის გვერდზე, ან მის ახლო მახლო სხვამ არ გააღოს აფთიაქი და მით მოცილეობა არ გაუწიოს! და ი, ხშირად მთელ მაზრაში, მთელ საპოლიციო ნაწილში ერთათ ერთი აფთიაქია. ამ ერთათ ერთი აფთიაქით უნდა ისარგებლოს თუთხმეტი ოცი ვერსის მანძილზე ივათმყოფა, ამ სიშორებან უნდა იყიდონ მამისისლათ წამლი და მით ავათმყოფი მოარჩინონ. და უნდა იყიდო-იმ ფასათ, რასაც მეაფთიაქე დაგიფასებს და რომ ვითომეცის არ სტუცის და დიდ ფასს არ იღებს, კაცეკვინით და ნახევარ კაცეკვინით ანგარიშობს. თუ, მანებია და თოხმოცდა ცხრაზეც კარგია! დაიძახა მეაფთიაქემ და შენც აძლევ სრულად უთქმელათ, უვაკრელათ თოს მანეთს და თოხმოცდა ცხრაშეტ კაცეკის. მეტი რა ძაღლი გაქ. გაგიარია ამდენა გზა, სახლში ავათმყოფი გრკვდება და რავა რამეს დაიშურებ, თუკი რამე განგაჩნია. რას იზამ! სხვას იმ იქვს ნება შენს ახლო გახსნას აფთიაქი, და წამალიც ნაკლებ ფასში იყიდო. მონოპოლია ხელს გრძლის, კონკურენცია ისპობა და შენც მის ქსელში იხლართები.

ამბობენ: აფთიაქის მონოპოლია იმისთვის არის დაწესებული, რომ წამლები იაფათ იყიდებოდეს. აფთიაქის შენახვა ძვირიათ ჯდება, თუ კველას მივეცათ მისი გახსნის ნება, მაშინ წამლის დამზადება გაფარშივდება, აფთიაქარი ხარჯებს შეამტკიცებს, ნაკლებ მოსამსახურებს იყოლიებს და ხალხი ზარალში ჩავარდებათ. აი ეს არის და ეს ერთათ ერთი გამამართლებელი საბუთი აფთიაქის მონოპოლიისა. მაგრამ ამ გვარ საპუთის მოყვანა ვერაფერი თვისი გამართვულა ვერაა. წამლები შეტათ ძვირიათ იყიდება, მოსამსახურები მაინც ნაკლებია აფთიაქში, მათი ჯაფა აუტანელია, ძილი არა აქვთ და მოსვენება. ხშირათ ზედი ზედ იცდა თექვსმეტ საათს მუშაობენ, აფთიაქში მოსამსახურები საშინლათ იქანცებიან და იღლებიან... მათ მიერინათ, ჩამოვყვინთათ... ამ დროს (ზუალამეზე კაი ხანი გადაცილებულია) იღება კარები და შეაქვთ რეცეპტი. წამლვარდება ზეზე ეს დაქანცული შეგირდი, ან თანაშემწე და შეუდგება წამლის შხადებას. კითხულობს თვალ-აპნეული და ძილ მორეცული რეცეპტის, გააქვს შეშებს რახალუები, მივარდება სასწორს და წონს, და თანაც ჩქარობს, უნდა აღრე მოიციროს მუშტარი, რომ ისევ ერთ წამს თვალი მიღოლოს. დამზადდა, გაძლევს. მიღიხარ, ალევინებ ვეთ-

მყოფს, ავათმყოფი კვდება. გასჭრეს. რა ამბავია? მოწიმდებულია. როთ? თავისი შაქრით, ქერძაფით. ქინის მაგივრათ, თავის შექარი დაამზადეს. გულის წუხილის ქარტის მფლობელი — ქერძაფი. შეცდა აფთიაქის მოსამსახურე. პატიოლიტის მაგალითის ძაღლიან ხშირია, რომ ერთი წამლის მაგივრათ მეორე დაემზადებით აუთიაქში. აფთიაქის პატრონები კი სუქდებიან და სუქდებიან. ყველანი ჩინებულათ და დიდებულათ ცხოვრობენ და მილიონის პატრონები ხდებიან. რა ენალვლებათ, მოცილ არავინა პყავთ.

დღეს უნდათ, ვითამც, ეს მონოპოლია მოსპონ, მაგრამ  
ვინ იცის... განმრთებულია, განმრთება აქცია... ხუთი, უნდათ...  
დაფინანსები... იმისთვის სიტყვები ბევრი გესმის, მარა ასრულება,  
განხორციელება არ იქნა და არა...

ყოველგვარი ბაჟი ნაციონალურ წარმოების გასაძლიერებლათაა გამოგონილი. ნაციონალური წარმოების აყვავება და გაძლიერება კი ნაციონალურ კაპიტალის გასაძლიერებლათ და მისი პატრიონის უფრო გასამდიდრებლათ. იმის განხილვაში ახლა არ შევღივარ, თუ რამდენათ უწყობს ხელს ამგვარი მფარველობა ეროვნულ სიმდიდრის შექმნის, გაძლიერებას, ვიტყვი მხოლოთ, რომ ამ გვარ წყობილებამ შეიწირა მთელი ერის, ხალხის, კეთილდღეობა. წამლებზედაც იმის-თვინაა დადგებული ბაჟი, რომ წამლის კეთების საქმე უკეთ მოეწყოს. ხალხიც იმისთვის ვერ ყიდულობს წარმოების მეტის სიციირის გამო, რომ ეროვნული წარმოება აყვავდება. უწამლოთ ხალხი იმისთვის უნდა ამოწყდეს, რომ ეროვნული კაპიტალი გაძლიერდეს...

განზრახვა იქვთ კიდევ ეს წამლებზე ბაჟი სამჯერ უფ-  
რო ასწიონ და გააღიძონ. შეიძლება, ასეთი განზრახვა უფრო  
იდრე განხორციელდეს, ამას ბევრი ლოდინი და ჩიჩინი არ  
დასჭირდეს. კარგი, გააძლიერონ, ასწიონ, როგორც უნდა  
ისე ქნან, თუ კი ამას ხალხის, ერის ინტერესების დაცვა მო-  
ითხოვს. მაგონდება ერთი შემთხვევა, როცა ბატონი ყმას  
როზგავდა და ეუბნებოდა: გცემ იმისთვის, რომ ეს შენოვის  
საჭირო და სასარგებლოვაო. იქაც ასეა, ყველაფერი ერის და  
ძველის სასარგებლოვათ ხდება.

თინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა სტატისტიკური ცნობები უბედურ შემთხვევათა მუშაბბს შორის. ცნობები შეეხება 1901 წელს და შეკრებილია იმ სამრეწველო დაწესებულებებში, სადაც საფაპრიკა ინსპექცია შემოღებული. სულ უბედური შემახვევა ერთ მოლიონ და შეიძას ათას მუშას შორის ყოველი აუდა ხუთი ათასი. ყველაზე მეტი უბედური შემთხვევა იქ მომზღარა, სადაც რენას, ფოლადს, სპილენძს და სხვა ლითონს ამჟავებენ—მექანიკურსა და მაშინის საკეთებელ ქორნებში. იქ ათას მუშაში არმოცდა შვიდი უნდა მოკვდეს, უნდა დასახიჩდეს, უნდა დაშავდეს. ას კაცში ხუთი სიკვდილს უნდა ელოდეს, ცოლ-შვილი გამოტირებული უნდა ყავდეს, ოჯახს, ოუკი არსებობს ოჯახი მუშისოფის, უნდა გამოეთხოვოს. ოცში ერთმა უნდა შეაკლას თავი ან მაშინას, ან ბორბალს, ან ცეცხლისგან გამდნარ ლითონში უნდა ამოიხარშოს და ზვარაკათ უნდა შეეწიროს მამონას გამდიდრებისას. ოც სულში ერთი მსხვერპლი, ეს მეტის-მეტია! ეს მეტის-მეტათ საგრძნობელია, დამაფიქრებელია. ოცში ერთს აუცილებელი სიკვდილი! რომელი გადამდები სენის დროს იყო ამოდენა მსხვერპლი? რომელმა ხოლერამ, რომელმა ცინგამ, რომელმა ჭლექმა, რომელმა ცოფმა იმსხვერპლა ამოდენა სული აღამიანთა? ეს რისხეა კაპიტალისტურ წარმოების განვითარებისა, ეს ეპიდემია კაპიტალისტურ წეს-წყობილების, რომელიც მუსრს ავლებს და უმოწყალოს: ხოკის მშრომელ ელემენტს საზოგადოებისა.

დღე და დამ მუშაობა, მოუსვენრობა, უძილობა, დაქან ცუ-  
ლობა, შიმშილი, სიცივე, წყურვილი, ტანჯვა-ვაება და მწუ-  
ხარება. განა კველაფერი ეს არ უნდა კმაროდეს, რომ ცო-  
ცხლათვე არ შექამოს და არ შეხრას მაშინამ ადამიანი? დიას,  
ეს მეტის-მეტია! ამ გვარი პირდაპირი, ძალდაუტანებე-  
ლი; მაგრამ მაინც ძალდატანებული, ნებაყოფლობითი,  
მაგრამ მაინც აუცილებელი,—დიას, ამ გვარი უსირცხვილო  
და უნამუსო მსხვერპლი აოც მონობის დროს ყოფილა და  
აოც ბატონ-ყმობის დროს. ეს არის მხოლოდ დღეს, კაპი-  
ტალის ბატონობის დროს... კაპიტალისტურმა წეს-წყობი-  
ლებამ ვერ შესძლო ამგვარი უსამართლობა მოესპონ და აღ-  
მოეფხვრა. მან კიდევ უფრო განამტკიცა და გააძლიერა ამ  
გვარი უსამართლობა და უკანონობა. მან შექმნა თავისებური  
მყვლეფელობა, მყვლეფელობა უფრო სასტიკი და აუტანელი.  
მან წარმოშობა ახალი იძრალები—ახალი მაშინები, რომლე-  
ბიც მატებენ რა აუარებელ სიმღიდრეს მათ პატრონებს, ადა-  
მიანის სიცოცხლესაც ზედ დავვსკათ აყოლებენ. ეს ამღერა  
მსხვერპლი ხდება იქ, საღაც საფაბრიკა ინსპექცია შემოღე-  
ბული, საღაც, ავათ არის თუ კარგათ, უბედურ შემთხვევებს  
აქცევენ ყურადღებას; ავათ არის თუ კარგათ ცდილობენ  
შეამტირონ მათი რიცხვი, ავათ არის, თუ კარგათ, თვალ-  
ყურს ადევნებენ ფაბრიკის, ქარხნის და სახელოსნოს შენო-  
ბებს. მაშინებს და სხ. რა უნდა ითქვას იმ სამრეწველო რაი-  
ონების შესახებ, საღაც არც საფაბრიკო ინსპექციაა, არც  
ყურისმგდებელია ვინმე, არც ღაზღვევაა და არც არაფერი,  
საღაც ყველაფერი კაპიტალისტის თვითნებობაზეა დამოკი-  
დებული? დამატიქრებელია, მაშ რა ჯანდაბა ამ გვარი მო-  
ვლენა. და უნდა დავფიქრდეთ კიდეც და მის აღმოსა-  
ფხვრელით საშუალება უნდა გამოიძებნოს რამ.

კლექტი! საშიშარი სახესნებელია ეს სიტყვა. ჭლექიანი! მაკრთობს და მაშინებს ამ სიტყვის გაგონება. მესამედი ხალხი ქვეყანაზე ჭლექით იხოცება: გაძრჩუნებს და ვაშტოოებს ეს ამბავი. რუსეთში ყოველ წელს ნახევარი მილიონი სული ჭლექით კვდება! გაღელვებს და გაწუხებს ეს მოვლენა. ცივი, ნოტიო, უსინათლო და უპატიო სარდაფი, ან ოთახი, დღე და ღამ მუშაობა და ჯაფა სახელოსნოს, ან ფაბრიკის, ან ქარხნის მოწამლულ და მოშხამულ ჰაერში; ჭუჭყი, სიბინძურე და აყროლებული სუნი გარშემო, ცუდი, ნოყიერებას მოკლებული საჭმლ-სასმელი, ყველი და პური, ხანდახან არც ყველი და პური; ერთ პატარა ოთახში ქმარი, ცოლი, შვილები და კიდევ გარეშე ვინწე; საზაფხულო ტანისამოსი,— ლურჯი ხალათი, ხანდახან ფიჯაკით—და ცივი, მკაცრი ზამთარი,— აი ყველა ის პირობები ერთათ შეზავებული, სადაც იბუდებს და მრავლდება ჭლექის ბაცილები; აი ის ნოყიერი ნიადაგი, სადაც მაგრათ გაუდგამს ფესვები ჭლექის ბაცილებს; აი, სად ვითარდება და სად ეძიებს საზრდოს ჭლექი.

მერე ვინ ცხოვრობს ასეთ პირობებში. მუშა, მურამე-  
ლი, ღარიბი ხალხი. მთელი დღე და ღამე იტანჯებიან, წვა-  
ლობენ, ცხოვრობენ ასეთ პირობებში! მატებენ სიმდიდრეს  
ქვეყნიერებას, იმისთვის ქმნიან სიმდიდრეს სხვისთვის, რომ  
თავისთვის შექმნან ასეთი პირობები! იმისთვის... იმისთვის...  
რომ ბოლოს უდრიოდო სული ამოხადოს ჭლექის ბაკილებმა!  
ასეთია ხვედრი ღარიბი და გამრჯე ხალხის, რომელიც გა-  
მხდარი ჭლექის სათარეშოთ და რომელსაც მსხვერპლათ ედება  
ყოველ წლობით ნახვარი მილიონი ხალხი! ხუთასი ათასი  
სული! ხუთასი ათასი სული ყოველ წელს მუშა ხალხიდან!  
გასაკვირია, სასწაულო მოქმედებაა, რატომ არ ისპოდა რუ-  
სეთის ხალხი! ყოველ წლივ მარტო ჭლექით ნახვარი მი-  
ლიონი გაკლდებოდეს და მაინც ძლიერი იყო, ნუ თუ არ  
არის ეს გასაკვირი...

როცა სისოფლო-სამეურნეო კომიტეტები იკრიბებოდა  
რუსეთში და ქვეყანა უნდოდა დაეხსნათ განსაკუდელისაგან,  
როცა ხალხის გაღატაკებამ უმაღლეს ხარისხსამდე მიაღ-  
წია და შეუდგენ ქვეყნის გამოპრუნებას და გლე-  
ხების შეუკითხველათ გლეხების წელში გამაგრებას,  
ერთი ამგვარ კომიტეტის სხდომაზე შემოხვევათ მიწვეულ იქნა  
ერთი სოფლელი გლეხი. სოფლელი გლეხი პირველათ წარსდგა  
კომიტეტის წინაშე დეპუტატათ გლეხებისაგან. დიახ, გლეხი  
დეპუტატათ! გაგიკირდებათ, მარა ხანდახან რუსეთში ამისთა-  
ნა გასაკირველი ამბავიც მოხდება ხოლმე. სოფლელებმა და-  
ავალეს გრიგოლის (გრიგოლ ერქვა ამ დეპუტატს), დაწვრილე-  
ბით წარედგინა კომიტეტისთვის სოფლის ყველა მოთხოვნი-  
ლებანი. უყურებს გრიგოლ კომიტეტის სჯა-ბასს. დიდი კა-  
ცები დიდის თავაზიანობით და ზრდილობიანათ ეპყრობიან  
მას. „გრიგოლ ივანიჩ, ბრძანეთ რამე! გრიგოლ ივანიჩ, პაპიროსი  
მოსწიეთ. რისთვის მორცხვობთ? ჩვენც თქვენისთანა კაცები  
ვართ, თანასწორი წევრები“. უკირს ყველაფერი ეს გრიგოლ  
ივანიჩს. უკირს, რომ ასე თავმდაბლათ ექცევა მას ყველა.  
ისიც ამბობს დაურცხვენლათ სოფლის დღევანდელ მდგომა-  
რეობაზე, მეურნეობაზე, გადასახადებზე და სხვა თასგვარ სა-  
ჭიროებაზე. დაიშალა კრება. მოდის გიგოლ ივანიჩი სახლში  
და ასე ფიქრობს: „მართალია, თუმცა მეც მიმიღეს თანასწორ  
წევრათ, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით. საქმის გათავების შემ-  
დეგ მე ისევ გლეხათ დაირჩები და ისინი კი ისევ ბატონათ.  
რა მეგობრობა უნდა შეიძლებოდეს ჩვენ შორის? მხოლოდ  
მარტო პატივის ცემა... ესეც დრომდე, სხვა არაფერი. კი  
ხანია რაც თქმულა: ბატი ლორის ამხანაგი ვერ იქნებაო. პარ-  
თალიც უნდა გითხრა: მეც რა მიმარტენიებდა იმათ კრებაზე... თავ-  
ხედო—იტყვიან მერე—უვიცა და კიროო.“ ახლა კი გავიგი,  
როცა მათთან ციყავი, რისთვის მექცეოდენ ასე თავდაბლათ.  
სულ ადვილი ასახსნელია: მათ სურდათ გაეგოთ გლეხის მდგო-  
მარეობა... როგორ და რა... ი ამისთვის გვკითხავნ კიდევ  
რამე-რამეებს. მაშ რა უნდა გვქონდეს ჩვენ საერთო? მე თვალ  
წინ მუდამ ყანა მიდგას, ცხენი, ხარი, დარი და ავდარი. ისი-  
ნი კი მუდამ წიგნზე, კარტზე და თეატრზე ფიქრობდნ. ხელით?  
არის რამე მსგავსება?“ ასე ფიქრობს, ასე მსჯელობს გრიგოლ

ერთი წამით დეპუტატთ ნამყოფი. რას იტყვი, მკითხველო, შემცდარია დეპუტატის მსჯელობა? განა არის რამე საერთო მათ შორის?

## უ ც ხ ე თ ი ს ქ რ თ ნ ი კ ბ

რა ამბავია მაკედონიაში—სარაფოვი ევროპაში—გაჭირვევება მაკედონიის სოფლებში.

გახსოვს, მკითხველო, მაკედონელები? გახსოვს ეს მრავალ-ტანჯული ერი, რომელიც თავის მტარვალების მიზანი იყვალა თავის არსებობას, გმირულათ მთელი წლის განმავლობაში ხმლით ხელში უმკლავდებოდა თავის მტარვალებს? რა ქნეს ამ მებრძოლებმა, ძლიერ თავის მტერს, განთავისუფლდენ ბარბაროსთა ბატონობისაგან, თუ ისევ მუხთალ ბედისაგან დაჩაგრულნი, დამარცხებული დაემონენ თავის მტარვალებს და მის წინ მონურათ ქედი მოხარეს? გებადებათ ეს კითხვები თავში, თუ არც კი გახსოვთ შორეულ მოძმეთა ტანჯვა-წამება? მაგრამ, არა, მე მგონია, თქვენ ცველგან და ყოველთვის ჩაგრულთა ბედი გაინტერესებთ, დატანჯულთა ხევდრი გაღელვებთ. მაშ დამიგდეთ ყური: მებრძოლი, რომელმაც თავის სისხლით მორწყო სამშობლო მხარე, ასე ადვილათ ვერ დაყრის იარალს და კისერზე უღელს ვერ დაიდგამს. განა მებრძოლის გული შედრკება განსაცდელის და გაჭირვების წინ? პირიქით მაშინ ის კიდევ უფრო მეტის მხეობით, მეტის ენერგიით შეებრძოლება თავის დამარცხელს და ასე განაგრძობს მანამ, სანამ თავის საწადელს არ მიაღწევს.

სწორეთ ასევე იქცევიან მაკედონელი რევოლუციონერები. ისინი მთელი წელიწადი შეუსვენებლივ იბრძოდენ, თავ-განწირვით იცავდენ თავის თავისუფლებას და ახლა კი ცველაფერი მიწყნარდა. აღარ გაისმის მებრძოლთა მძლავრი ყიფინი, აღარ გაისმის აბჯართა ჩხარუნი, აღარ ესხმიან თავს სიმალთა ჯარს მაკედონელთა რაზმები. თავგანწირულმა გმირებმა დაუშვეს ხელი და მოსვენებას მისცეს თავი. მარა სამუდამოთ? რასაკერველია, არა. სამუდამოთ თავისუფლება არ დაიმარხება. სამუდამოთ ბრძოლის ველის დატოვება გმირს არ შეეფერება. დაცვა თავის ადამიანურ უფლებების, დაცვა თავის კაცურ ლირების, თავის არსებობის,—აბა ვინ აიღებს ამებზე ხელს, ვინ გამოეთხოვება სამუდამოთ ამ იუცილებელ პირობებს ადამიანურ ცხოვრებისთვის! ვის შეუძლია ემსგავსოს პირუტყვს და პირუტყვით უღელ ქვეშ დალიოს თავის დღენი? და მაკედონიის რევოლუციონერებსაც სამუდამოთ არ დაუძინიათ. არა, მათ მხოლოდ შეისვენეს, მათ მხოლოდ სადღეისოთ შეწყვიტეს ბრძოლა.

მაშ რამ გააჩერა მებრძოლთა ხელი? რამ შეაყენა მათი გულის ცემა? მებრძოლთა სიმცირე? მარა ერთი ის, რომ თავისუფლების სიყვარულით გატაცებულთა მცირე რიცხვიც ხშირათ თავზარს სცემს და ძლევს იჯვერ და ოცერ უფრო მეტ მტერს. ასეთია ძალა აღმოიარების, თავგანწირულების, გატაცების. ან იქნებ გული გაუცრუვდათ თავისუფლებაზე, აღარ იზიდავთ თავისუფლების სხივი? მარა ეს განა შესაძლებელია? აბა წარმოიდგინე, მკითხველო, თავისუფლებისთვის მებრძოლი ხალხი, რომელიც ივიწყებს თავისუფლებას და მონაბას რჩეობს. ერთი და ორი პირი შეიძლება პირუტყვს და-მსგავსოს, მარა ხალხი, მთელი ხალხი კი ვერასოდეს ვერ და-სთმობს თავისუფლებას. ის მისთვის ისეთივე საჭიროა, როგორც ორგანიზმისთვის ჰაერი. მაშ რამ შეაჩერა მებრძოლთა მკლავი? რამ დააყრევინა მათ იარალი? სასტიკმა ბუნებამ,

მკაცრმა ზამთარმა, და გაივლის თუ არა ეს სტიქიონური წელის შემშლელი მიზეზი, რევოლუციის აღი ისევ მოეცება მთელ მაკედონიას და თავისუფლების ძლიერ მტეცებების შემდეგ გრძება მის მიღამოში.

გიგანტისა

ასეთი აზრისაა ერთი უმთავრესა მეთაურთაგანი რევოლუციონურ ორგანიზაციისა ბორის სარაფოვი. ის ამ ხანებში დაბრუნდა ბოლგარიაში, ახლა ევროპაში მოგზაურობს, რომ ევროპის საზოგადოების ყურადღება მიაქციოს ტანჯულ მაკედონელთაკენ. მას თურმე დიდი იმედი აქვს, რომ მომავალ გაზაფხულიდან სმალეო-ბოლგარიას შორის აუცილებლათ ომი ასტყდება და ამას მაკედონელთა კითხვაზე გავლენა ექნებათ. მას იმის იმედიც აქვს, რომ ინგლისი, საფრანგეთი და იტალია ჩაერევიან მაკედონიის საქმეში და ტანჯულ ერს ბედს შეუმსუბუქებენო. ერთი სიტყვით ის დიდი იმედებით არის აღფრთოვანებული. მარა ამასთანავე ის არ ივიწყებს იმას, რომ მაკედონიის უმთავრეს მხსნელათ ისევ თვითონ მაკედონელები უნდა გამოვიდენ. გარეშე „კეთილის მყოფელთ“ მხოლოდ თავის ინტერესი ამოქმედებთ და არა ჩაგრულთა გამოსარჩევების სურვილი. თვითონ მაკედონელები კი თავის თავს იცავნ, ცხადია ისინი უნდა გახდენ მაკედონიის განმათავისუფლებელიც. გაზაფხულზე, ამბობს სარაფოვი, რევოლუციის ისევ იფეთქებს, მანამ კი ცველა ორგანიზაციებს სასტიკათ აკრძალული აქვს ამბოხების მოხდენა, რომ განცალკევებულ შეტაკებაში ტყუილ უბრალოთ არ დაკარგონ თავის ენერგია... ამიტომ მებრძოლი ჯგუფები ცველანი დაიშალენ და ემზადებიან, რომ თავის წინამდლოლის პირველ დაძახებისთანავე წაავლონ ხელი იარალს და მზაო გავიდენ ბრძოლის ველზე თავისუფლებისთვის სისხლის დასაღვრელათ. ბევრი ჯგუფები რევოლუციონერებისა ბოლგარიაში უნდა დაბრუნდა, სადაც მათ ხალხი დიდი აღტაცებით ეგებება. სარაფოვს კი დაბრუნებისას ხალხმა მანიფესტაციები გაუმართა და დიდი პატივით მიიღო. ასეთია მაკედონიის საქმის ვითარება.

\* \*

რაღა ამბავია მაკედონიის სოფლებში? განა ვერ მიხედები, მკითხველო, რა უნდა იყოს იქ! განა არ იცი, რომ იქ ახლა საშინელება ტრიალების? სიმშილი, სიცივე, ბაშიბუზუკთა თარეში, დაწიოკება... ერთი სიტყვით ცველაფერი, სიკვდილი, წამება, ხმლით ორათ გაკვეთა, ცველგან სისხლის ღვარი... მარა განსაკუთრებით ზამთარმა შეაწუხა სოფლები. იქ სადაც წინეთ დიდი სოფელი იყო, ახლა კონტინენტის სინაოზე. ცველაფერი დაწვა და გაანადგურა მტარვალმა ასალთა ჯარმა, ცველაფერი ააოხრა ბარბაროსთა ბრძომა, გაფანატიკოსებულმა, მთავრობისგან წაქეზებულმა. მაკედონელი დაბრუნდა შინ, მარა რა ქნას! შინ ლუქმა არ გააჩნია, კერაზე შეშის ღერი არ უდევს. ბავშვები, რომელიც სიმაღებს გადურჩა ცაცხლი, სიცივით და შიმშილით თვალ წინ უკვდება. საღ წავიდეს, ვის ეცეს! გარეთ ბაშიბუზუკები დათარებულები, თუ მოასწრეს საღმე, სიცოცხლეს გამოასალმებენ. შინ კი არა გააჩნია რა. კიდევ რომ გაეპაროს ჯალათებს, მაინც რა უნდა იშვიათ მასავით გაჭირვებულია, მეორეც, მესამეც, ცველა იმ კოფაშია, ცველგან სიკვდილი ცელით ხელში თავს დასდგომია ამ ცაცხლის შვილებს. არ შემძლია დაგისურათო ის ტანჯვა, რომელსაც ის გრძნობს... ის ორ ცეცხლში შუა და გასავალს ვერსათ პოულობს. შეცეცხლი მაკედონიის მიღებების შემდეგი მასავით გაჭირვებულია, მეორეც, მესამეც, ცველა იმ კოფაშია, ცველგან სიკვდილი ცელით ხელში თავს დასდგომია ამ ცაცხლის შვილებს.

თვალებში სიკვდილს, უნდა მოსტაცის მას თავი, თავის შევლები, მარა ეს არ შეუძლია... რა ქნას? მაშ არ იმოს და უკანასკნელ სულის ამოსვლამდე არ ეძიოს დაკარგული აღა- მიანური ცხოვრების უფლება? მართალია, მათთვის გამო- ვიდა ვითომდა შემწეობა, მარა ურიგდება ის მხოლოდ ისეთ სოფლებს, სადაც გამცემლები ცხოვრობენ, სადაც ბერძნები შეტობენ. ევროპა კი შესცერის ამ ტანჯვა წამების სურათს და მხოლოდ გაიძინის: უნდა დავიცათ აჩებული წესი... მარა თუ ეს არსებული წესი ასეთ ბარბაროსობას შეიცავს?!.. მაინც უნდა დაიცათ?..

## ს ი ც რ უ ე

(ძველი კაცის ნააშობი)

## II

(გაგრძელება. იბ. „კაცი“ № 32 1903 წ.)

— მე, როგორც ხედავთ, ძალიან შორს წავედი ჩემს შოგონებაში, თუმცა როცა ვიწყებდი, არ მეგონა თუ ამდენს ვიტყოდი. მაგრამ რა ვუყოთ, რაღაც დავიწყე, ვიტყვი კი- დეც. გავიდა რამდენიმე კვირა და ჩემი ამბავი კი არავის უკი- თხავს. ჩუმათ გავიგე, რომ ვიღაც მნახველები მოსულიყვნენ, მაგრამ ნახვის ნება ვერ ეშოვათ. მივიღე მხოლოდ საწილი და ცოტა ფული. დატუსალების მესამე ლამეს ჩემს ოთახში უკვე იდგა ერთი კრავატი და ერთი სკამი. არჩევანზე, რომ საქმე მისულიყო ამ სკამს მე არაფერში არ გავცვლიდი. საქმე იმაში იყო, რომ ამ სკამის შემწეობით მე ჩემი უპირველესი სურვილი დავიქმაყოფილე—მივიღე ის კედელთან, შევდე- ბოდი ზედ და ეხლა თამამათ შემეძლო ფანჯარაში ცერა. სიხარულის ოხვრა აღმოსკდა ჩემი მკერდიდან, როცა პირვე- ლათ გადავიხდე ფანჯარაში, ეხლა მე ნახევრათ ტუსალი ვა- ყავი, ეხლა მე თითქოს შევურიგდი ქვეყნიერებას, ისევ გაი- ლვიძა გულში იმედმა, რომ სულ მოწყვეტილი არ ვიყავ იმას, რაც მე მიყვარდა და რასაც ვალმერთვებდი. ჩემ წინ ხელ ახლა გადაიკიმა ეს დიდი ქალაქი თავის მაღალი სახლებით და პა- ტარა აღამიანებით, მაღალი სიტყვებით და სასირცხვო საქმეე- ბით, მე კვლავ ვხედავდი ამ უთანაგრძნობო და უგულო ქა- ლაქს, რომელმაც არც იკოდა და არც რამეთ ულირდა, თუ რა გულის ცემით უცქერდა მას მის მიერ მოწყვეტილი და გაცემული შვილი. მე ერთ წუთში წამომიდგა თვალწინ მისი წინააღმდეგობებით სასეს ცხოვრება, ერთმანეთში აირინ სიყვარული და სიძულვილი, თანაგრძნობა და დაცინვა, ერთ- გულება და დალატი, მე თითქოს ისევ შევცურე ამ ვეებერ- თელა და მღვრიე ტალღებში და კვლავ შევმატე მის ხმას ჩე- მი ხმა... ნეტავი რათ მიყვარდა ამ წუთას ის? არ ვიცი, მაგ- რამ მიყვარდა კი, მიყვარდა ისე, როგორც ახალგაზრდა და საღ აღამიანს შეუძლია შეიყვაროს მასავით ახალგაზრდა და საღი ქალი.

— ერთ საღამოს მე ჩვეულებისამებრ სკამზე შემდგარი გადავაწევი ფანჯარას და რკინის ჯუჯრუტანებში ხარბათ ვი- ცეირებოდი. სადღაც ერთ ერთ სატუსალოს ოთახიდან მე მე- სმოდა ტუსალის ნაღვლიანი სიმღრა:

„ციხევ, მოგიკვდეს ამშენებელი,  
შენ ხარ ვაჟაცის დამღონებელი!“

— მე დავუგდე ყური, მაგრამ სიმღრა ჩქარა შეწყდა და დარაჯის ყვირილს დაუთმო ალაგი. ციხეში აკრძალულია სი- მღრა და საზოგადო ყველნაირი გასართობი. ჩემს ქვევით ძირს ვიღაც დაფიქრებული ჯარის კაცი თოფით მხარზე და- დიოდა წინ და უკან და ეტყობოდა, რომ მისი გონება კარ- გა მანძილზე მოშორებოდა დისკიპლინას და სადღაც შორს

დაფრინავდა: დრო გამოშეებით კი უწმაწური ლასმდო-გრძე- ბა ტუსალებისა სიცილ ხარხარში გარეული რაღაც ნეშვიოთ მხვდებოდა ყურში.

## ერთვეული

— მე გავერთე ფიქრებში, ერთ ხანს კიდევ უფლებული უკანი ამავებს, კიდევ ვარებდი, თუ რა ხდებოდა ჩემს გარშე- მო, მაგრამ ა უცებ... საღლაც მდლავრათ დაიგუგუნა სამხედრო მუზიკი და მთელ ქალაქს მიულოცა შევენიერი სა- ღამო, ღიღი და პატარა სასეირნოთ გამოიწვია. ქალაქი ეგე- ბებოდა ახალ გაზაფხულს.

— მე ისევ ციხეს გარეთ მოვყვავი თავი, სალამი მივე- ცი ჩემს მეგობრებს, შეუვარე გვერდი ქალაქის სამკითხველოს, ოდნავ თვალი გადავავლე თეატრის განცხადებას და ბაღის ერთ მივარდნილ კუთხეში ამოუჯექი გვერდში ერთ ქალი- შვილს. ბაღი სავსე იყო ხალხით მაგრამ მე იმათ ყურადღებას არ ვაჭცევდი და კიდეც განგებ მოვნახე ეს მივიწყებული სკა- მი. ჩემი აღგზნებული თვალები შეგმას უქადოდენ ჩემ გვერდ- ში მჯდომარე ფერმკრთალსა და ნაზ ქალიშვილს.

— თინა, რა გინდა, რომ მუდაშ მესაყვედურები? რა შემატყვე? ვეკითხებოდი მე.

— შენ არ გიყვარვარ, არ გიყვარვარ! მეუბნებოდა ის,— შენ არ მოგწონვარ, რაღანაც ლამაზი არ ვარ... არ გიყვარ- ვარ, არა!

— თინა, ვინ ოხერმა დაგატყუა შენ, ვინ გითხრა, რომ ლამაზი არ ხარ? ვინ გითხრა, რომ ვითომ არ მიყვარდე? სა- ბუთი თინა, საბუთი! არ გრცვენია, რომ მაგი შემომწამე? აბა მომთხოვე თინა მსხვერპლი, მომთხოვე და მე დაგიმტკი- ცებ შენ, თუ როგორ მიყვარხარ.

“და მე ვკუნიდი მას გამხდარ სახეზე, ვკუნიდი თვა- ლებში, ტუჩებში, თვალიდან ცრემლები მღიოდა და ის კი მაინც გაიძახდა:

— არ გიყვარვარ, არ გიყვარვარ!

„ბაღში მუზიკა უკრავდა და მისი ხმა უფრო და უფრო მაღრუებდა, უფრო მიშოთებდა სისხლს და მე მინდოდა შე- მეჭამა აქ ეს ქალი, სულში ჩამესო, რომ მუდაშ, მუდამ ერ- თათ ვყოფილიყავით.

— ის შერცხვეს, ვინც ჩვენ ორში მოღალატე გამოდ- გეს! წამოვიძახე მე.

— ამინ! დააღასტურა ქალმა და ჩამეკრა გულში...

„მე უცებ გამოვერკვიე ამ სიზრიდან. ფეხზე დგომით დავდალულიყავ, ის იყო უნდა ჩამომედგა ფეხი ძირს, რომ ისევ მომესმა ტუსალების ნაღვლიანი და თან საყვარელი სი- მღრა:

„იტირე, გულო, დღენი შენი შემოკლებულა,  
იტირე გულო, სატრფა შენი გათხოვებულა.

„ციხევ მოგიკვდეს ამშ...“

და კვლავ შეწყდა ნაღვლიანი ხმა, კვლავ გაისმა სასტი- კი ყვირილი დარაჯისა და მე კი უცებ ჩამეწვეთა უურში:

— ის შერცხვეს ვინც ჩვენ შორის მოღალატე გამოდ- გეს! ეს შორეულმა მუზიკის ხმაშ ჩამილაპარაკა მე. ერთი გი- ვივით გაეიხდე გამოვიხდე, ჩემ წინ კვლავ გამოიჭიმა კედე- ლი, მაგრამ ეხლა ის ტრიალებდა, უცებ ყველაფერი ჩაება ველურ ფერხულში, ჰაერი მოიცო ცეცხლის წინწლებმა და ყველა ამან ჩქარი ტრიალით ბნელ ბურუსში გახვია თავი...

## III

— მესამე დღეს სავათმყოფოში გადამიყვანეს, სადაც მხოლოდ ერთი სნეული დამხვდა, რომელსაც მძლავრი სისხ- ლის დენა ასტეხოდა და ღლე ღლეხე მოელოდა სიკვდილს. მე კი ისე ამეშალა ნერვები რომ ფეხზე დგომასაც ველარ ვ- ხერხებდი. პირველი შეხედვიდან ჩვენ გავიგეთ ერთმანეთი და შუაღლისას რომ ერთმანეთს გავეცანით, საღამოს საუკეთესო

შეგობრები ვიყვათ. გამოდგა რომ ჩვენ თთქმის ერთსა და იმავე ბრალა გვდებდენ და აი გასამართლების მოლოდინში ჩემი ახალი შეგობარი უკვე საფლავის კარებზე მიმდგარიყო. და ესეც რომ არ ყოფილიყო, განა ისე არ დაუმეტებრდებოდი იმას?

— მაინც და მაინც ბევრი ვერაფერი გავიგე მე ჩემი ახალი შეზობლისაგან, თუ ვლაპარაკობდით, ვლაპარაკობდით საზოგადო კითხვებზე და კერძო, პირად რამებზე თთქმის არც ერთხელ არ გვქონია საუბარი, რაღაც ვერ ვახერხებდი. ის იყო ზედმიშვნით გატაცებული და მდიდარი ფანტაზიის პატრონი აღამიანი, ხშირათ შეუძლებელსაც შესაძლებლათ ხდიდა და მე შევატყვე რა, რომ გძელი კამათი ძლიერ ღალავდა მას, მაინც და მაინც არ ვეწინააღმდეგებოდი, თუმცა ხშირათ არ შემეძლო დავთანხმებოდი მას: მე იმ თავიდანვე შევატყვე მას, რომ ის რაღაცას მიფარავდა, რაღაც ისეთს, რომ მელიც თავისუფლების წარმევაზე ნაჯლებ არ სტანჯავდა მას. ეს ცხადათ ემჩერდა, როცა ის დაფიქრდებოდა, რაც ხშირათ მოსდომდა; მის სახეზე ხან მწუხარების ღარი გაიჩდენ აა, ხან კი ნეტარების ღიმილი გაითამაშებდა და შავს, მშვენიერ თვალებს იმედით აუელვარებდა. ასეთ მდგომარეობაში ის თითქოს მიფარავს სახესო, გვერდზე გადაბრუნდებოდა და პირს კედლისკენ მიაქცევდა; მე კი წამოშვებოდი გულალმა, მივაშტერდებოდი შავს იატაკს და ნელი ძლივს გასაგონი ხმით ღილინს დავიშვებდი. ღილინი საზეკეთსო საუბარია შეოცნებე კაცისა, ამ ღილინშია ჩაქსოვილი მისი სული და გული, მაში იხატება მისი იმედი და სასოება; ის არის ერთადერთი დაუშრეტელი საუნჯე მისი ფიქრებისა, მაში იხატება აფერადებული მომავალი და ის უძინავებს მას. უბედურება მხოლოდ იმაშია, რომ ხშირათ როდი ხარ ღილინის გუნებაზე. უგუნებოთ შეიძლება აღამიანმა იმღროს და ძალიან კარგათაც იმღროს, შეუძლია აგრეთვე იცინოს, მაგრამ ღილინი და ღიმილი კი ძალატანებით არ შეიძლება, ან თუ მოხერხდა, ის თავის სიმშვენიერეს კარგავს და უფრო ამანიჯებს აღამიანის სახეს, ვიდრე რაიმე შვენებას შემატებდეს... სულითა და გულით კი მაინტერესებდა, თუ რა აწუხებდა მას.

— აღამიანს აქვს ერთნაირი გრძნობა, გრძნობა რომლითაც ის ერთი შეხედვით გაიგებს მეორე აღამიანის სახეზე, თუ რა აწუხებს მას, თუ კი ეს წუხილი მასაც გამოუყდია. ამიტომაც იყო, რომ მე ამ აღამიანში ვხედავდი რაღაც ისეთს რომელსაც ორივე დავეტანჯეთ, მაგრამ ერთმანეთისთვის კი ჯერ არ გვეოქვა ეს.

— ჩემ შეგობარს ეძინა, მგონი ძალიან მშვიდათ, მე მესმოდა მისი ნორმალური სუნთქვა. მაგრამ უცებ სასტიკმა ხველამ წამოსვდო ზედ. კარგი ხანს ახველებდა ის, ახველებდა და ყრიდა პირიდან ხორცის ნაგლეჯებს, ახველებდა და აქცევდა სისხლს. და მაშინ, როცა მისი ყრუ ხველა გაისმოდა ოთხში, მე მეგონა, რომ აქ ხველა როდია, აქ რაიმე შენობა ინგრევა და იმის ხრიალი გაისმის მეთქი. შეუმჩნევლათ გადავწიე იმისკენ თავი და მკრთალი სანთლის შექვე შევაცერდი იმის შვენიერსა და მიმზიდველ სახეს. აა, რა სევდა იხატებოდა ზედ! რა მშვენიერი ახალგაზრდა კვდებოდა!

— ხველა შეწყდა და მან მიისვენა ბალიშე. მისი გული მძლავრათ აღი ჩადიოდი და სახეზე ოფლი სდიოდა, რომელსაც ხშირათ იწმენდდა. პატარი ხანს მერმე იმან გადმოიხედა ჩემქნ, მე ისევ გაუნძრევლათ ვიდევი, დარწმუნდა რომ არაფერს ვყურობდი და სასოფლაო შეპყო ხელი. შემდევ ხელის გული თვალებთან მიიტანა და დაშტერდა. თვალები გაუბრწყინდენ, სახე ერთიანთ გაუნათდა, მაგრე აუკან კალდა და აკან კალებული ხელიც ძლივს ჩერდებოდა ჰაერში. სულ რამდენიმე წუთი იყო ის ამ მდგომარეობაში, სურათი იცველა, თვა-

ლებს რაღაც სიყვითლე გადაეფარა და სახე ტანჯვის ღარებმა მოიცვეს. ის დაეკრა ხელს.

— მარო! გახსოვარ? გიყვარვარ? ფიქრუნი წემზე და რომ ვკდები? რატომ არაფერს მწერ, მარტინი მურასუ მარო? იმას გადაავიწყდა აღმათ ყველაფერი, რომ ასე ხმა მაღლა გამოთქვა თავისი ფიქრები, რომელსაც ასე მითარავდა დღემდე.

— საცოდავს ვიღაც ყვერები!“ გამიელვა თავში, რომ ამ ღრას რაღაც ხრიალი მოისმა. სისხლმა ნაკადულივით იჩქეფა ჩემი შეგობრის პირიდან და ერთ წუთში მისი მაროს სურათი სისხლში დაცურავდა. ის წამოიჭრა და წყალს მიაშურა. პირის ამორეცხა კი არ გახსენებია—სურათს დაუწყო რეცხა. მე კი აღარ ვიცოდი, რა მექნა, მკვდარივით გავშეშდი და თუმცა სულითა და გულით მინდოდა წამოვარდნა და რამე შემწეობის მიცემა, მაინც ვერ შევიძელ.

— ის დამშვიდდა, სისხლი შეუწყდა, სურათი სიფროხილით გაამშრალა და ნახევრათ მიწვა ლოგინზე. ეხლა კი ერთიანათ გადმოვბრუნდი, თვალები ამოვიფშვნიტე, წამოვყავთავი და გავიხედ-გამოვიხედე,

— გლვიძის კაცო?—დაღლილათ და ცოტა წყენითაც დამეკითხა ის.

— მე ყველაფერი დავინახე!—მივუგე მე.

— და ამ წუთიდან მეც ყველაფერი ვიცოდი. იქ, თავისუფალ აღამიანებში, საღაც ხან ჭორებით იქცევენ თავს, ხან არშიყობით, ხან ცეკვაობით და ბანქოს თამაშით, იქ, ამ მოსაწყებ ღველურ საზოგადოებაში, მაძლართა რიცხვში ერთია არსება—მარო,—რომლის გარშემო ტრიალებდა თურმე ჩემი შეგობრის ფიქრიდა იმედი, იქ, იმის კალთაში ისვენებდა თურმე ის და იმის სახის წარმოდგენაში პოულობდა ხასიათის სიმტკიცეს, იმით უძლებდა თურმე იმ აუტანელ ფაზიურ და ზეობრივ ტანჯვას, რომელიც მის ასე ბლომათ არგუნა ბედმა. ჩემ შეგობარს უყვარდა მარო.

სპირიდონ მცირიშვილი.

(დახსრული იქნება)

## კერძო საკუთრება და მისი ისცორიდ

### II

#### პატრიარქადური საზოგადოება.

პირველ-ყოფილი საზოგადოება მუდმივი არ ყოფილია. ის პირვანდელ იარაღების განუვითარებლობაზე იყო აგებული და როცა ეს უკანასენერები გართულდა, განვითარდა, პირველმაც იცვალა ფერი. საზოგადოება გარდიქმნა, მას ახალი მოხხოვნილებები გაუჩიდა და იმის შესაფერათ ახალმა აზრმა, შეხედულებამ, ზენევეულებამ მოიკიდა მაში ფეხი. ეს ახალი საზოგადოება, რასაკვირველია ერთბაშათ ციდან არ ჩამოვარდნილა, არც გენიოსის თავში, უეცრათ დაბადებულია, არამედ ის შემუშავდა ნელ-ნელა, მრავალ წლების და, შეიძლება, საუკუნეების განმავლობაში. მისი საფუძველი იმ პირველყოფილ საზოგადოების კალთებში აღმოჩნდა, რომელსაც ჩენ კომუნისტურ საზოგადოებას ვუწოდებთ, ის როგორ მოხდა ეს.

იარაღებით შრომამ აღამიანს ბევრი რამ ახალი დაანახვა, პირველად ყოველისა გან შეძლო თავის შრომის გათვალისწინება; ის ახალ უკეთ ხედავს, რა გააკეთა მან, და რა სხვამ და იმის შესაფერათ იწყებს ნაშრომის მითვისებას. „ეს ჩემიაო“ ამბობს ის. მარა ამის თქმა ყველაფერის შესხებ არ შეუძლია, ნადირობის დროს მაგ. ის ვერ იტყვის, ვისი შრომით არის შეძენილი ნადირი. მის მოკვლაში უკეთ თანაბრობის ილებას იღებდა და ამიტომ მისი შექმის ნებაც ყველას თანაბრათ აქვს. მართალია, რაც უფრო იარაღი ვითარდება, მით

უფრო შესამჩნევი ხდება მისთვის წარმოებაში (ნაღირობაში) თვისი მონაწილეობა. ნაღირობაში მეტი მნიშვნელობა აქვს ნაღირის დაკოდვის და მოკვლის, ამიტომ როცა აღვილათ შესატყობი ხდება, ვისმა ისარმა გაგმირა ნაღირი, მას საუკეთესო ნაკერს აძლევენ. ეს, ცხადია, მისი განსაკუთრებული სიმამაცის სასკიდელია და გამამჩნევებელი. ყველაზე უფრო თვალსაჩინოთ კი თავის შრომას ადამიანი ხედავს იარაღის მომზადებაში. მის გაკეთებას ის მარტოც შეძლებს და ამიტომ პირველ საკუთრების საგნათ იარაღი ხდება. მას ისეთი თვისებები აქვს, რომელიც ადამიანს საკუთრების აზრს ულიდებს. გარდა იმისა, რომ იარაღი მისი გაცეტებულია, ის მას მუდამ თან უნდა დაქმნდეს, ხმარობდეს; ამნარათ ის ქვევა იარაღს, მისი შემწეობით ის არამდენიმეთ ასრულებს იმ მოქმედებას, რომელსაც წინეთ ბუნებრივი იარაღებით ხელით, ფეხით, კბილებით ასრულებდა, იარაღი მას ხელის, ფეხის მაგიერობას უწევს, ამიტომ ის მაღლ მასაც ის თავისათ აღიარებს, როგორც თავისათ მიაწნია ხელ-ფეხი. იარაღი თითქოს მის ორგანიზმთან თან შეზრდილია, შესისხლხორცებულია, და ამიტომ ის აღამიანს არ წაერთოენა. პირიქით ის მისია სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც: მასთან ერთათ უნდა დაიმარხოს, როგორც მისი არსების ნაწილი.

ასეთი მოვლენები ველურთა ცხოვრებაში მეტათ ხშირია. კაცობრიობას დიდი შრომა და ბრძოლა დასჭირდა, სანამ ჩაწილა ნაწილათ, გამოსისადვით ან სხვა ხრიებით უქმათ დაკარგულს იარაღებს მკვდრების სამულობელოდან მოიტაცებდა და ცოცხლებს დაუტოვებდა მოსახმარათ. უმთავრესათ საქმის სიძნელე იქიდან წარმოსდგა, რომ მას საღწმუნოება აფარებს ხელს და მისი დაძლევა კი ხალხისთვის მეტათ გასაჭირია. აშ ჩაირათ პირველი საჭურველი, რომელიც ადამიანს კასტისა და არადებრივი იყო, ხოლო მისაკუთრების უმთავრესი საფუძველი კი შრომა.

აქედან, ცხადია, ვასაც რა საკუთარი შრომით გაუკეთებია, ის მის პირად საკუთრებას შეადგენს. მაგრამ რაც საზოგადო შრომით შექმნილია, ის მოელსაზოგადოებას ეკუთვნის. ამიტომ სარჩე საბადებელი ამ ეპოქაში ჯერ ისევ საერთო კუთვნილებათ რჩება. ნაღირების შემცირების შემდეგ, აღამიანი პირუტყვების მოშენების შეუდგა, ა მისთვის, რასაცირველი საჭირო იყო, მოელი საზოგადოების შეერთებული შრომა. პირუტყვებს უნდა მოუარო, ტყის ნადირებიდან დაიფარო, ერთი ადგილიდან მეორეზე გადარევი, საღაც უკეთესი ბალახია და სხვ. პირუტყვები ამასთანავე შეგვიძლია და უკეთესიცაა ბევრი იყოლიო. რას და სამ ხარს, ცხენს, ცხვარს შედარებით მეტი შრომა უნდა, ვიზრე ასა და ათასს. ცხადია, რაკი ჯოვიც უშრომლათ არ იშოვება, მის წარამარა დაკარგვა არ შეიძლება. მას უნდა გაუფრთხილდე, გარეშე არ გაატანო, თორებ შიმშილი მოკვლის. ამიტომ ისიც უნდა საკუთრებათ აღიარო. მარა რადგან მას საერთო შრომით იძენს მოელი თემი, ისიც საზოგადო კუთვნილებათ უნდა გახდეს. დათუ რომელიმეს მათვანს მისი მოხმარება სკირია, უნდა იმას მიმართოს, ვისაც ეს საერთო ქონება აბარია და საზოგადოების წევრებს უყოფს და აძლევს იძენს, რაც მათთვის სკირია. ეს არის მათ მეთაური, პატრიარქი. საიდან გაჩნდა ის? ისიც, რასაცირველია ახალ იარაღების შეძენამ და შრომის გართულებამ წარმოშობა, მაშასადამე აუცილებელმა საჭიროებამ.

რამდენათ უფრო იარაღი უმჯობესდება, იმდენათ უფრო როთულდება შრომა. როთულ შრომას კი როთული ასრულება უნდა. ხილის მოკრეფა მაგ. ყველაზე ადვილია, მას არც დიდი იარაღები წირდება. ნაღირობა მეტ იარაღების თხოულობს, მშვილდისარს, წვერიან ჯოხს და სხვ. ის უფრო როთულიცაა

და მოწყობას თხოულობს. კიდევ უფრო როთული და მცენრისა საქონლის გაშინაურება, მოვლა-მოშენება. ამას უნდა ჟიქრი, აზროვნობა, რაც პირველყოფილ ადამიანს ძლიერი ეჭვებული იარა. ასე კურტაცია წარმოიქმნება უკეთების მინც ვერ შეძლებს როთული საქმის გაძლილის. ამ საქმისთვის აუცილებლით საჭიროა ცოდნა, გამოცდილება; ვისაც ესენი ყველაზე მეტი აქვს, ის უკეთ ასრულებს ამ დანიშნულებას. ხოლო მეტი ცოდნა და გამოცდილება იმას აქვს, ვისაც მეტი უცხოვრის, უნახავს და გაუგონია, ასეთია ყველაზე ხნიერი, რომელიც, მართლაც, ხდება ხელმძღვანელით. მას ეწოდება პატრიარქი. ის არის მთელი გვარის ყველა საქმეების მომწყობი და გამანაწილებელი და რასაც ის ბრძანებს, მთელი გვარი დაუყოვნებლივ ასრულებს, ამას მოითხოვს მათი სართო ინტერესი, ინტერესი წარმოების. მხოლოდ ასეთ თანხმობით მოქმედება, აძლევს მათ შრომის მეტ ნაყოფიერებას და ეს კი მათთვის აუცილებლით საჭიროა. ისინი ახლა პატარა 30 კაციან ჯგუფს კი აღარ წარმოადგენენ, არამედ 200—300 კაცისა და ხშირათ მეტისაგნ. შემდგარ საზოგადოებას, და ამდენ ხალხსაც იგივე სივრცე უკირავს, რაც წინეთ, ხშირათ უფრო ნაკლებიც, ამიტომ თავის გამოკვებისათვის ახლა უფრო მეტი ზრუნვა საჭირო. ეს ზოუნვა კი პატრიარქის მოვალეობაა, ყველას მაგიერ მან უნდა იფიქროს. ის ადგება დილით ადრე, დაუძახებს მთელ გვარს, ერთს ჯოგში გაგზავნის, მეორეს წყალს მოაზიდვინებს, მესამეს შეშას და სხვ. ამასთანავე მან, როგორც გამოცდილმა, იცის, როგორ უნდა მოუაროს საქონელს, სად უკეთესი საძოვარი ადგილები მოიპოვება და სხვ. და ყველა ამაბში დანარჩენთ ხელმძღვანელობას უწევს, სამაგიეროთ ის ფიზიკურ შრომიდან სრულიად თავისუფალია. ამნარათ საზოგადოებრივი შრომა იყოფა ორათ: გონებრივ შრომათ და ფიზიკურ შრომათ. პირველი პატრიარქის უპირატესობას შეადგენს. პატრიარქი მუდამ ავარჯიშებს თავის ტვინს, აზროვნობს, ფიქრობს, და ამიტომ ყველაზე გონიერია. დანარჩენები კი მხოლოდ ფიზიკურ შრომას ეწევიან. ისინი მხოლოდ ემორჩილებიან პატრიარქის ბრძანებას, რადგან მაზე კურვიანურს და გონიერულს ვერს იტყვიან.

როგორც გონებრივი შრომის წარმოადგენელს მას მეტი საზრდო სტატიდება, ისიც ადგება სადილათ და საუკეთესო ლუქმას თვითონ მიირთმევს, დანარჩენს სხვებს უნაწილებს—ხოლო რაც ყველას საჭიროებას აღმატება (ახლა აღამიანის გაუმჯობესებული იარაღებით ბევრათ მეტის გაკეთება შეუძლია, ვინემ თვითონ მოერევა) თვითონვე ინახავს. და ამ ზედ მეტი ისე ეპურობა, როგორც თავის ნაშრომს. რაკი ერთხელვე საკუთრების იდეა გონებაში დაებადა, მაშინვე პირველი ადგილი თავის „მე“-ზ დაიჭირა. ის ახლა საზოგადო ინტერესებზე კი არ ფიქრობს, არამედ სულ იმის ცდაშია, რაც შეიძლება დიდი ულუფა ააგლიჯოს ხალხს და თვითონ მიისაკუთროს. ის ხედავს, რომ საკუთრებადიდიდი ძალაა, მითი ის ყველას დაიმორჩილებს, რადგან მის გარეშე ცხოვრება შეუძლებელი გამხდარია. მის ხელშია ხალხის ქონება, მაშასადამე ხალხიც მის ხელში უნდა იქნეს. ის მათი გამგე და მბრძანებელია, ვისაც უნდა ცემს, გარებულებს, სიკვდილით დასჯის, ერთი სიტყვით მის ხელშია მათი ბედი, სიკვდილეც და სიკვდილიც. როცა ის მოკვდება მის ადგილს მისი შვილი ან სხვა მახლობელი ნათესავი დაიკრის, სხვასთვის ეს შეუძლებელიცაა, რადგან მართვა როთული საქმეა დადიდი შესწავლა დაგავთავის უნდა. თავის ცოდნას კი პატრიარქი, რასაცირველია, იმას გაღასცემს, ვინც მისი მახლობელი. ამ ნაირათ მოელი თემი, ანუ საზოგადოება პატრიარქის და მის შოთაშობლის ხელში უნდა ვარდება. მარა ეს კურვიანურს ვერ გვარდება, მარა ეს კურვიანურს ვერ გვარდება, მარა ეს კურვიანურს ვერ გვარდება.

ამიტომ ის თანაშემწევებს ირჩევს თავის მახლობელ ნათესავებიდან, ამ ნაირათ ჩნდება ჩინოვნიკები, რომელნიც თემის უფროსის ბრძანებას ექვემდებარებიან, მისი ნებით მოქმედებენ. ამ ნაირათ ჩნდება ჩანასახი სახელმწიფო წყობილების. ამას გარდა თემი სხვა თემების შორი ახლო ცხოვრობს, მათ შეუძლიათ თავს დაესხან და საქონელი მოსტაცონ, ხალხი გაწყვიტონ ან და საბალახოს გულისთვის ომი აუტყდეთ. ასეთი ომები და შეტაკებები მოხეტიალე ხალხში მეტათ ხშირია. რომ გარეშე მტრისაგან თავი დაიფარონ და დაიმორჩილონ კიდეც ის, საჭიროა გაწროვნილი მებრძოლნი. ამათ შედგენასაც პატრიარქი კისრულობს, ის თავის ნათესავებთან ერთათ მეომართა დრუებინას ადგენს და მტერთან საომრათ მიღის. ეს ომები მათვის სარგებლის მომტანი ხდება. ამით შეიძლება დამარცხებული მტრების დამონება და მათი შამოერთებით თავის სამფლობელოს გაზრდა, გაძლიერება. ველური ადამიანი მეტათ ვიწრო აზრისაა, თავის თემს გარეშე ის არავის იცნობს და არავის უფლებას არ აღიარებს. ამიტომ გარეშე თემის აღამიანი ის ისე იყენებს, როგორც სხვა ნადირს. ბედუინი ნადირობით ცხოვრობს და ადამიანი თუ ხელში ჩაუვარდა, მასაც იმგვარათვე მოიხმარს ე. ი. შექამს. შენახვა და სახლში წაყვანა დაბლეული მტრის მისვის გმოსადევი არა. პატრიარქალური თემი კი სულ სხვა გვარათ იქცევა. ის ცხოველებს იშინაურებს და უვლის, ასე ექცევა ადამიანსაც. სახორცეთ ადამიანი დის არაფერს წარმოადგენს, მისი შრომა კი გამოსადევია. ამიტომ ის მიყავს მას თავის თემში, ამუშავებს და აქმევს იმდენს, რაც უკანასკნელისოვის აუცილებლათ საჭიროა, და მისი შრომით თვითონ მდიდრდება. მან მოინადირა, მაშასადამე, ის მისი კუთვნილებაა და შეუძლია ისე მოიხმაროს, როგორც სურს. ამ ალაფს, ე. ი. ომში შეძენილს, რასაკვირველია, ისინი ისაკუთრებენ, ვინც ომში მონაწილეობას იღებდა. მარა გარეშე მტრის დამორჩილებასთან ერთათ ამ მხედრობამ შინაური ხალხიც დამონა და მასაც ისე დაუწყო მოქცევა, როგორც პირველთ. ამ ნაირათ ნეომართა წოდებამ შექმნა მონობა, ე. ი. ადამიანი სრულ თავის საკუთრებათ გახადა. მას ისეთივე ფასი აქვს პატრინის თვალში, როგორც ჯოხს, შეილისარს, ნაჯახს, დანას და სხვ. მონა არაფრით არ განიჩევა ამ იარაღებისაგან გარდა იმისა, რომ მას თავისით მოძრაობა შეუძლია და მაშასადამე, უსულო იარაღზე უკეთ შეუძლია საქმის ასრულება. ხოლო უფლება მას არავითარი არ აქვს. მას შეუძლია მხელობდ ერთი რამ: იმუშაოს და სიმღიღრე შექმნას თავის ბატონისათვის. მმო ამნაირათ გამღიღრების წყაროთ გახდა. ვინც ბევრ ხალხს დაამარცხებს, მას მეტი მონები ეყოლება და მაშასადამე მეტი სიმღიღრეც. ამ ნაირათ მთელი საზოგადოება ორ კლასათ გაიყო, ერთია გაბატონებული, მეორე დამონებული კლასი. პირველის მიზანი მმია და ახალ მონების შეძენა, მეორემ კი ისინი თავის შრომით უნდა არჩინოს. ის ქმნის სიმღიღრეს, მისი ბატონები კი ისაკუთრებენ, ამნაირათ საკუთრების საფუძველზე აღმოცენდა ერთი ადამიანისაგან მეორის დაჩავრა, გაყვლეფა, დამორჩილება. ამიერიდან საზოგადოება მუდამ კლასებათ არის დაყოფილი და მთელი ისტორია საზოგადოებისა კლასთა ბრძოლას წარმოადგენს: ამიერიდან ჩეკენ სუკოველთვის გხედებით მდიდარი და ლარის, შეძლებულს და გაყვლეფილს და მათ შორის განუწყვეტელ ბრძოლას, პირველნი იცავენ თავის უპირატეს მდგომარეობას, მეორენი ცდილობენ მათი უღელი თავიდან გადიცილონ. ამ ბრძოლაში კველაზე გასაკვირველი ისაა, რომ გაბატონებული ყოველთვის უმცირესობაა, უმრავლესობა კი მის სიმძიმის ქვეშ იტანჯება. ამის ერთი უმთავრესი მიზეზი რასაკვირველია ხალხის, ბრძოს შეუგნებლობაა, მას არ ესმის თავის ინტერესები რიგიანათ ვერ ახერხებს შეერთებულ, შეკავშირებულ ბრძოლას,

როგორც იქცევიან მათი ბატონები, და ამიტომ მუდამ დაბატონულთა კლასში ჩებიან. მათი გონების დაბნელება იმაზეა დამყარებული, რომ მათ ცხოვრება ყალბათ ፩፭፻፲ წარმოადგენ ნილი, და ყალბ წარმოდგენას მუდამ ჩასჩიჩუნებენ ፩፭፻፲ წარმოადგენ ვენ ისნი, ვისთვისაც ეს ხელსაყრელია.

აღამიანი საერთოთ საზოგადოების მონაა, ის ისე ფიქრობს და აზროვნობს, როგორც ამას უჩვენებს საზოგადოებრივი წყობილება. მისი შეხედულება მსოფლიოზე, ზე-ჩვეულება ამაზეა დამოკიდებული. იარაღის გამოგონებამდე, მას არავითარი წარმოდგენა არ ქონდა ბუნებაზე და არც ცდილობდა მის შესწავლას. მარა ახლა, რაკი მისი დაბლების მოხმარა და გამოყენება დასკირდა, ისიც შეუდგა მის გაცნობას. მისი გამოცდილება, რასაკვირველია, მეტათ მცირე იყო, რომ ნამდვილი შეხედულება მიეცა ყველა საგნებზე. აუხსნელობა კი მას მეტის-მეტათ აწუხებდა. ამიტომ ის შეუდგა მოელი ბუნების იმისდა გვარათ ახსნას, რასაც საზოგადოებაში თავის გარშემო ხდავდა. აქ კი აი რას ხედავდა ის:

